სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 ოქტომბერი 2000 №193 (1215) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბზიკაძე

კაუნასიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ლიტვა — საქართველო

7 ოქტომბერი, კაუნასი 21.00

თავაზიანი ივანე მრისხანე და დაბნეული ქართველები

თუ გსურთ, კაუნასში საქართველოს ნაკრების ვარჯიშს დაესწროთ, მის დაწყებამდე 15 წუთით ადრეც კი ნუ ეცდებით გაგებას, სად აპირებენ მთავარი მწვრთნელები გუნდის წაყვანას. 3 ოქტომბერს ქართველებმა „ჟალგირისის“ სტადიონზე იმეცადინეს, ოთხშაბათიდან კი დილასაღამოს „კარიომინასის“ მინდორს ამჯობინებენ...

— დღესაც იქ მივდივართ ოთხ საათზე, რა საკითხავიაო, გაიკვირვა ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ შუადღისას. მის სიტყვებში ეჭვი როდის შეგვიტანია, ახლა არ მივნდობოდით. მაგრამ როცა მოგვიანებით ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან გადავამოწმეთ ოთხშაბათს „კაუნასის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის ნათქვამი, ხვალ აქ 15 საათზე ლიტვის ჩემპიონატის გადადებული მატჩიაო, იუარა, არაფერი გამიგია ამის თაობაზე და ასე თუ იყოს, ალბათ მაინც იქ ვივარჯიშებთო. ცხადია, ამის მერე მე და ჩემი რეზონანსელი კოლეგა აკაკი გვიმრაძე სასწრაფოდ დავადექით გზას პონევეზისკენ. „კარიომინასზე“ მართლაც კაუნასის „კარედას“ და კლაიპედას „ატლანტასის“ მეორე ტაიმს შევესწარით. სტუმრებმა 3:1 გაიმარჯვეს, ერთი გოლი და კლაიპედელთა აზიელი ლეგიონერი ვნახეთ, მაგრამ ეს, დარწმუნებული ვარ, თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ. იმას კი, რაც თქვენ გაინტერესებთ, დღევანდელ „სარბიელში“ ვერ წაიკითხავთ. რატომ? აი, ეს კი ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა.

ნარეულს კაუნასიდან

ჩვენი მწვრთნელების ფოტო ორიგინალობით არ გამოირჩევა, მაგრამ კაუნასიდან ჯერ მხოლოდ ეს მივიღეთ

არაერთხელ მომესმა ქართველთა წუწუნი, აბა, ჩვენ ვიცით გადაყოლა, ვერ ხედავთ, სად არიან ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, კაცისშვილი არ მოგვკარებიაო. როცა გუშინ ვალერი ჩოლარიამ მობილურით გვიპასუხა, უკვე ერთი საათია, „ჟალგირისის“ სტადიონზე ვვარჯიშობთო, გასაგები გახდა, ქართველებს იქ ვეღარ მივუსწრებდით და ლიტველთა ნახვა გადავწყვიტეთ. ლიტვის ნაკრების ადმინისტრატორმა რომას პიკჩილინგისმა ასევე მობილურით ეს გვითხრა, ჩვენების არაფერი ვიცი, ეს დღეები სულ თქვენს ნაკრებს დავყვებიო. სიმართლე ვთქვა, პიკჩილინგისი სალამოს ორ ვარჯიშზე ნამდვილად არ შემინიშნავს, მაგრამ აქამდე ამას არ დავკვირვებივარ და გუშინ რომ არ ტყუოდა, ესეც ნაღდია. ახლა თქვენ თავად დაასკვენით, რატომ არ იცის საქართველოს ნაკრებმა ვარჯიშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, ამას რომელ სტადიონზე აპირებს. შესაძლოა, ლიტველებს ეშლებათ მასპინძლობა, შესაძლოა, ჩვენები არ იჩენენ წინდახედულობას, ან იქნებ მეტოქეს, მათ შორის მათზე მიმაგრებულ პიკჩილინგისსაც ემალებიან.

სინამდვილეში კი აი, რა გაირკვა: ქართველებს დაუდგენიათ, რომ „კარიომინასზე“ მართლაც თამაში იყო და დავით ყიფიანმა ვისაც ჯერ არს საყვედურიც უთხრა. მაგრამ ამით ჩვენ და თქვენ რა...

ლიტვის ნაკრებსაც, რომელიც ქართველთა სასტუმროსთან ახლოს „დარიუსის და გირენასის“ სპორტული ცენტრის საფეხბურთო მოედანზე ვარჯიშობს, ბეწვზე მივასწარით. ახლა გერმანული რეგიონალიგის „ვილჰელმშაფენის“, ერთ დროს კი „ჰამბურგის“ მრისხანე ლიტველ თავდამსხმელ ვალდას ივანაუსკასს რეპორტიორთა რიგი ედგა, მაგრამ ქართველი მკითხველისთვის ორიოდ სიტყვის თქმა არც ამის მერე დაზარებია:

— პირველი, რაც ქართველებთან თამაშამდე მაგონდება, ის დიდი, სასიამოვნო გრძნობაა, რომელიც ათი წლის წინათ თბილისში თამაშისას დამეუფლა. მე ცოტა გოლი არ გამიტანია, საკმაოდ მაღალ დონეზეც ვთამაშობდი იგივე ბუნდესლიგაში და არაერთი სასიხარულო წუთი მქონია, მაგრამ ის, რაც თბილისში 40 ათასის მაყურებლის თვალწინ დამდგარმა ვიგრძენი, შეუდარებელი იყო. საბჭოთა კავშირიდან გამოსული ჩვენი ქვეყნების პირველი ოფიციალური საკრებო მატჩი ლიტვის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და მეამაყება, რომ მისი მონაწილე მეც ვარ.

— ქართველები იმ მატჩში არ გაგიცვნიათ?

— რა თქმა უნდა. ძალიან ბევრ დინამოელთან, რომელთა წინააღმდეგ თამაში მიწევდა, კარგი ურთიერთობა მქონდა, განსაკუთრებით სსრკ-ს ოლიმპიურ ნაკრებში ჩემს თანაგუნდელებთან, გელა კეტაშვილთან და სოსო ჭედიასთან.

— ჩვენს ამჟამინდელ ნაკრებზე რა იცით, რას აპირებთ ზეგ?

— ვიცი, რომ ახალი, კარგი, საინტერესო გუნდია. ბევრ თქვენს ფეხბურთელს პატივს ვცემ. ამის თქმა შემიძლია ბუნდესლიგელებზე და სხვებზეც. ჩვენი გუნდიც ახალგაზრდულია, ბებერ მგელთაგან ერთადერთი მე დავრჩი, მაგრამ ამის გამო ქართველებთან თამაშის რომ გვეშინოდეს, ნაკრებში დაბრუნებას ალბათ არ მოვიწადინებდი.

— აქამდე რატომ აღარ ეხმარებოდით ეროვნულ გუნდს?

— ბოლო მატჩზე რუმინეთში ოჯახური პრობლემის გამო ვერ ჩავედი. მანამდე ერთხანს ტრავმა მქონდა, ერთხანს კი ისეთივე პრობლემები, როგორიც, დარწმუნებული ვარ, თქვენც გაქვთ. ახლა არ მსურს, ჩვენს საშინაო საქმეებზე ლაპარაკი. გამიგებთ, ალბათ.

— ცხადია, მაგრამ ეს თუ შეგიძლიათ თქვათ: ამ ციკლს ნაკრებში ჩაამთავრებთ?

— რა ვიცი, თამაშამდე ორი დღეა, მერე ოთხ დღეში უნგრეთს ველოდებით. თუ ყველაფერი ნორმალურად იქნა და მანამდე გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ალბათ ახლაც ვითამაშებ და მერეც.

— ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— სტასის სტანკუსმა გვაჩვენა შარშან ლატვიასთან 0:1 წაგებული მატჩის ჩანაწერი. იმ ფირის მიხედვით ქართველებს ხუთჯერ მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ არ გაუმართლათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოზე კარგი წარმოდგენის ვარ, ფავორიტებად მაინც იტალია და რუმინეთი მიმაჩნია. დანარჩენი სამი გუნდი — ლიტვა, საქართველო და უნგრეთი კი მეტ-ნაკლებად თანაბარი დონისაა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მათ ურთიერთშეხვედრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

34 წლის თავდამსხმელი, რომელსაც ერთ დროს გერმანელებმა ივანე მრისხანე შეარქვეს, მინდორსგარეთ კი ძალიან თავაზიანი გამოდგა, მეტად აღარ შეგვიწუხებია და მადლობით დავშორდით. ბევრად ადრე, დილის თერმეტის ნახევარზე ვუსურვეთ გზა მშვიდობისა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც შაულიაიში გუშინვე წავიდა.

— ლიტვა ძლიერი, ფაქტობრივად ის გუნდია, რომელიც მხოლოდ პენალტების სერიით დავამარცხეთ 1997 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე — გაიხსენა ჩვიდმეტწლამდელთა მაშინდელმა თავკაცმა და ახლა მურთაზ ხურცილავას თანაშემწე ვახტანგ კოპალეიშვილმა. შემადგენლობა ჩვენს ახალგაზრდულსაც ბევრის შესაშური ჰყავს. კარში ლომაია ან ხმელიძე, დაცვაში წერეთელი, ქემოკლიძე, ხიზანეიშვილი, საჯაია, შაშიაშვილი, ებრალიძე, ნახევარდაცვაში კვარაცხელია, დიღმელაშვილი, ნოზაძე, დევიძე, ასათიანი, გვაზავა, თავდასხმაში კი წიტაიშვილი, იმედაძე და მელქაძე.

გამოუცდელობას ვერავინ დაიჩივლებს, რაც იმის საწინდარია, რომ ხურცილავას შეგირდებს შესარჩევი ტურნირის წარმატებით დაწყება უნდა მოეთხოვოთ.

ბეს ახალაძის ფოტო

თაობათა შეხვედრა: გიორგი ასანიძე და რაფაელ ჩიმიშკიანი

ბრინჯაოს ლეგიონი დაბრუნდა

ჩვენი სპორტსმენების ბუნებრივმა ნიჭიერებამ და მათი მწვრთნელების გარჯამ ქართული სპორტი ბრინჯაოს აბჯრით შეიმოსა. ამ აბჯარს დაუმსახურებლად არავინ უნდა ამოეფაროს

რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდებზე

ფოტო ალექსანდრე ფეიქრიშვილის

ფაფი ჩაჩუა: ჩვენს ჩამოსვლას და თქვენს დახვედრას გაუმარჯოს!

მიეცით მუხინს კედელი

უკრაინელი ანდრეი მუხინის დებიუტი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში შედგა. „მერანი“ „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობდა და 0:2-ს აგებდა. სერგო გაბელაიამ საშველად სლავ ლეგიონერს უხმო. შეცვლაზე შემოსული მუხინი მეტად ნაყოფიერად გაისარჯა და მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, დიდად დაეხმარა „მერანს“ თამაშის შემობრუნებაში. მას შემდეგ ანდრეი მუხინი „მერანის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. აქვს კარგი კოორდინაცია, შეუპოვარი და დაუღლელია, ორივე ფეხით ჩინებულად ურტყამს როგორც კი საშუალება მიეცემა. ამ თვისებებით ის ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მართლაც რომ ორიგინალურად გამოიყურება და არც ტექნიკასთან არის მწყრალად. ...ლიტველი, რუსი, ნიგერიელი, ბელგიელი და ახლა უკვე ორმა უკრაინელმაც დააჭაშნიკა ჩვენი ეროვნული. „მერანის“ მეორე უკრაინელმა ნიკოლაი პოდლესნიმ ჯერ მხოლოდ ერთ, მეშვიდე ტურის მატჩში ითამაშა ქართულ გუნდში და, ბუნებრივია, ჯერაც არ წარმოუჩენია თავი. ისე, უკრაინელის ჩვენებურ კლუბში თამაში უცხო რამ არც მანამდე ყოფილა. ალბათ, გახსოვთ, 80-იანი წლების მეორე ნახევარში რარიგ კარგად ირჯებოდა ლანჩხუთის „გურიას“ ფორვარდი ვიქტორ ხლუსი. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ახლა კი ცოტა არ იყოს საოცარია, თუ როგორ და რისთვის ჩამოვიდა უკრაინელი ფეხბურთელი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში სათამაშოდ. ანდრეი მუხინთან ინტერვიუც სწორედ ამით დავიწყეთ.

ანდრეი მუხინი

— სადაც ახლა მარტო ცხოვრობთ, არა?

— ჩემი მეუღლე სტუდენტია და სწავლა რომ დაიწყო, იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო. თანაც იგი ფრენბურთელია, სპორტის ამ სახეობას ლამის პროფესიულ დონეზე მისდევს და უკრაინის ჩემპიონატში გამოდის. ასე რომ, ჩემს მეუღლესაც სპორტული სეზონი ეწყება.

— ჩვენსა და უკრაინულ ჩემპიონატს შორის დიდი სხვაობაა?

— საკმაო განსხვავებაა. მაგალითად, თქვენთან შეიძლება ერთი ტაიმი ირბინო, გოლი გაიტანო და მეორე ტაიმში, უხეშად რომ ვთქვათ, დადგე. უკრაინაში კი მთელი 90 წუთი სხვა სისწრაფით მიდის თამაში და, ბუნებრივია, იქ უფრო ძნელია. პირობებშიც დიდი განსხვავებაა.

— ალბათ, ეს ბიტუა-ციისდა მიხედვით ვაკეთებ. თანაც ლეგიონერი ვარ, ჩემგან ბევრს ელიან და მეც ვცდილობ, რაც შეიძლება მალე გავიტანო ჩემი პირველი გოლი საქართველოს ჩემპიონატში.

— შორეულ დარტყმებზე ალბათ საგანგებოდ ვარჯიშობთ.

— რა თქმა უნდა. საამისოდ სპეციალურ ფარებს თუ კედელს ვიყენებდი, აქ კი, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ არის. არადა, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ვარჯიშების გარეშე ფეხბურთელის დარტყმის ტექნიკას წუნი შეეპაროს. რასაც შრომით მიაღწიე, იმის შენარჩუნება კი აუცილებელია.

— მაინც როდის გაიტანს ანდრეი მუხინი პირველ გოლს საქართველოში?

— აბა, რა გითხრათ. რაც მთავარია, აქაურობას უკვე გავუშინაურდი. გოლს კი მაშინ გავიტან, როცა ღვთის ნება იქნება.

— ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩზე რას იტყოდით?

— „ტორპედო“ ალბათ სათანადოდ ვერ განეწყო ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ. ეგონათ, ფონს იოლად გავიდოდნენ. მსაჯმა ისეთი რამეები ჩაიდინა, რომ ჩვენს თამაშს და საერთოდ მატჩის მსვლელობას დაღი დასვა. როცა „ტორპედომ“ ანგარიში გაათანაბრა, ჩვენ კვლავ მოგებაზე ვფიქრობდით, ფრეს არ შევეგუეთ, რადგან რიცხობრივად უპირატესობა გვქონდა, მაგრამ დაცვაში უყურადღებობის გამო გოლი გავუშვით.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს აქ, თბილისში?

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ძირითადად ფეხით ვსეირნობ ქალაქს ვათვალიერებ. გულრწფელად გეტყვით, თბილისი მართლაც რომ ლამაზი ქალაქია, მაგრამ დაბინძურებულია, დასუფთავება და მოვლა სჭირდება. ამ მხრივ, არც ჩვენთანაა საქმე მთლად კარგად.

— ქართული კერძები კი ალბათ ცალკე თემაა...

— პირველ ადგილზე მწვადს დავაყენებდი, მერე ხინკალს, ქაბაბს, ძალიან მომწონს ხაჭაპურიც.

მიყვარს თქვენებური ცხარე და მწარე კერძები. ჩვენთან, დონეცკში, არის კავკასიური რესტორანი და ასეთ კერძებს არ ვიკლებდი. „მერანში“ სადილობის დროსაც პირველად ცხარე ხარჩო მოაქვთ. თქვენი სასმელებიდან უპირატესობას შავ ღვინოს ვანიჭებ. ამ სფეროში კარგად ვერ ვერკვევი, ისე კი მეუბნებიან, რომ „ხვანჭკარა“ საუკეთესოა.

დავით თავართქილაძე

— როგორ აღმოჩნდით უკრაინის უმაღლესი ლიგის დონეცკის „მეტალურგიდან“ თბილისის „მერანში“?

— „მეტალურგის“ მწვრთნელმა და მე საერთო ენა ვერ გამოვნახეთ, ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ და ახალი კლუბის ძებნას შევუდექი. მჭონდა წინადადებები უკრაინის სხვადასხვა გუნდიდან, რუსეთიდანაც შემეხმიანენ, კერძოდ, „ტორპედო ზილი“ მეპატიჟებოდა. სხვა ვარიანტებიც გამოჩნდა, მაგრამ ამ დროს შევხვდი „მერანის“ მენეჯერ ვლადიმერ ჩერქეზოვს. მასთან ადრეც მქონია ურთიერთობა, როცა ორი წელი (1993-95) ლუგანსკის „ზარიაში“ ვთამაშობდი. ის მაშინ ამ გუნდის მენეჯერი გახლდათ. ჰოდა, გადავწყვიტე, საქართველოში მეთამაშა.

— კი მაგრამ, რატომ? ქართველი ფეხბურთელები ხომ აქედან გარბიან. მარტო უკრაინის უმაღლეს ლიგაში 13 ჩვენი ლიგონერი გამოდის...

— თქვენთან იმიტომ ჩამოვედი, რომ ევროპის რომელიმე კარგ გუნდში მინდა მოვხვდე და რაკი ქართული კლუბები ევროთასებზე თამაშობენ, ვთვლი, რომ მიზნის მიღწევის მეტი შანსი მექნება. ამას გინდ ტრამპლინი დაარქვით, გინდ მწვანე შუქი ევროპაში გასაჭრელად.

— განა „მერანი“ ახლა ევროტურნირების საგზურისთვის იბრძვის?

— ამ სეზონში გუნდის მიზანი ექვსეულში მოხვედრაა. აი, მომდევნოში კი...

— ისე, როგორ ფიქრობთ, რომელ ქვეყანაში თამაშობენ ფეხბურთს ყველაზე კარგად?

— რა თქმა უნდა, იტალიაში. შემდეგ მოდიან ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

— როცა საქართველოში ჩამოსვლა დააპირეთ, თქვენი მეგობრები და ნათესავები ალბათ ამას არ გირჩევდნენ.

— გადაწყვეტილების მიღებისას ჭკუას არავის ვეკითხები.

— „მერანში“ როგორ მიგიღეს?

— ძალიან თბილად და მეგობრულად. ამავე დროს ისიც უნდა ვაღიარო, რომ ადაპტაციის პირველი პერიოდი რთული გამოდგა.

— როგორც ლეგიონერს, „მერანში“ ალბათ განსაკუთრებული პირობები გაქვთ შექმნილი.

— არავითარი ამის მსგავსი. მეც იგივე პირობები მაქვს, როგორც დანარჩენებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ აქ ფინანსური დაინტერესების გამო არ ჩამოვსულვარ.

— თბილისში სად დაბინავდით?

— კლუბმა გამსახურდიას გამზირზე დამიქირავა სამოთახიანი ბინა.

— „ტორპედო“ როგორ მიგიღეს?

— ძალიან ცივად. ალბათ, ეს ბიტუა-ციისდა მიხედვით ვაკეთებ. თანაც ლეგიონერი ვარ, ჩემგან ბევრს ელიან და მეც ვცდილობ, რაც შეიძლება მალე გავიტანო ჩემი პირველი გოლი საქართველოს ჩემპიონატში.

— შორეულ დარტყმებზე ალბათ საგანგებოდ ვარჯიშობთ.

— რა თქმა უნდა. საამისოდ სპეციალურ ფარებს თუ კედელს ვიყენებდი, აქ კი, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ არის. არადა, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ვარჯიშების გარეშე ფეხბურთელის დარტყმის ტექნიკას წუნი შეეპაროს. რასაც შრომით მიაღწიე, იმის შენარჩუნება კი აუცილებელია.

— მაინც როდის გაიტანს ანდრეი მუხინი პირველ გოლს საქართველოში?

— აბა, რა გითხრათ. რაც მთავარია, აქაურობას უკვე გავუშინაურდი. გოლს კი მაშინ გავიტან, როცა ღვთის ნება იქნება.

— ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩზე რას იტყოდით?

— „ტორპედო“ ალბათ სათანადოდ ვერ განეწყო ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ. ეგონათ, ფონს იოლად გავიდოდნენ. მსაჯმა ისეთი რამეები ჩაიდინა, რომ ჩვენს თამაშს და საერთოდ მატჩის მსვლელობას დაღი დასვა. როცა „ტორპედომ“ ანგარიში გაათანაბრა, ჩვენ კვლავ მოგებაზე ვფიქრობდით, ფრეს არ შევეგუეთ, რადგან რიცხობრივად უპირატესობა გვქონდა, მაგრამ დაცვაში უყურადღებობის გამო გოლი გავუშვით.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს აქ, თბილისში?

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ძირითადად ფეხით ვსეირნობ ქალაქს ვათვალიერებ. გულრწფელად გეტყვით, თბილისი მართლაც რომ ლამაზი ქალაქია, მაგრამ დაბინძურებულია, დასუფთავება და მოვლა სჭირდება. ამ მხრივ, არც ჩვენთანაა საქმე მთლად კარგად.

— ქართული კერძები კი ალბათ ცალკე თემაა...

— პირველ ადგილზე მწვადს დავაყენებდი, მერე ხინკალს, ქაბაბს, ძალიან მომწონს ხაჭაპურიც.

მიყვარს თქვენებური ცხარე და მწარე კერძები. ჩვენთან, დონეცკში, არის კავკასიური რესტორანი და ასეთ კერძებს არ ვიკლებდი. „მერანში“ სადილობის დროსაც პირველად ცხარე ხარჩო მოაქვთ. თქვენი სასმელებიდან უპირატესობას შავ ღვინოს ვანიჭებ. ამ სფეროში კარგად ვერ ვერკვევი, ისე კი მეუბნებიან, რომ „ხვანჭკარა“ საუკეთესოა.

დავით თავართქილაძე

უშოვეთ ვიდეო...

სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტი ტექნიკურ უზრუნველყოფას საჭიროებს

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მორიგი, ჩემპიონატის დაწყებიდან მეხუთე სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაიდო. რატომ, არ იკითხავთ? მიზეზი ისე, სხვათა შორის, სასაცილოა — ვიდეომაგნიტოფონი.

ოდესღაც ასეთი სხდომა ამ მიზეზით რომ გადადებულიყო, კაცი დაიჯერებდა, „ვიდეოს“ შოვნა პრობლემაა, მაგრამ ახლა?...

გუშინ სადისციპლინო ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ძაგანია, კომისიის წევრები: ზურაბ პეტრიაშვილი, რევაზ ჩილაჩავა და პასუხისმგებელი მდივანი ზვიად დარასელი რამდენიმე წუთით განმარტოვდნენ, შემდეგ კი ძაგანიამ დეტალურად ინფორმაცია მიაწოდა, ანალიზი გაუკეთა ბოლო ეტაპზე ჩატარებულ ოთხ სხდომას, ანგარიშვალდებულ ფეხბურთელებს, ოფიციალურ პირებს, ტელეოპერატორებს, ტელეკომპანიებს, ბეჭდვითი მედიის ინფორმაციის საშუალებებს, ანალიზი ... ფეხბურთელებს, ... ოფიციალურ პირებს, ... ტელეოპერატორებს, ... ტელეკომპანიებს, ... ბეჭდვითი მედიის ინფორმაციის საშუალებებს, ...

ქათამაძე თამაშგარეთ

გრიგოლ ქათამაძე

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოთამაშე წყალტუბოს „სამგურალის“ პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. რა მიზეზით, ეს ჩვენთვის უცნობია, წყალტუბოში გუნდის ყოფილ პრეზიდენტთან და გამგებელ მირზა ქორქაშვილთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ და დღესდღეობით უფრო ვრცლად ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვით.

ისე კი, გრიგოლ ქათამაძე კარგა ხანს გახლდათ „სამგურალის“ პრეზიდენტი, მისი ხელმძღვანელობით გუნდი ყოფილი მეორე ლიგიდან უწინდელ პირველ ლიგაშიც აღზევებულა, თუმც ყოველთვის უძლიერესებში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ერთხელ კი, 1999 წელს, ქათამაძის პრეზიდენტობით „სამგურალმა“ საქართველოს თასის ფინალამდე მიაღწია და მხოლოდ პენალტებით დამარცხდა ქუთაისის „ტორპედოსთან“.

შარშან კი, დიდი მონდომების მიუხედავად. წყალტუბოელები კვლავ დაქვეითდნენ და ახლა პირველ ლიგაში თამაშობენ.

ლუკა თალაკვაძე

კაპიტანმა გადაწყვიტა

არჩილ შაკიაშვილი

გასული ორშაბათი მძიმე დღე გამოდგა ბოლნისური „სიონის“ მცველ არჩილ შაკიაშვილისთვის. „სიონის“ კაპიტანმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ტრავმამ შაკიაშვილი კარგა ხანია გააწამა, თუმც ექიმები ვარაუდობდნენ, რომ შეიძლებოდა ოპერაცია აეცილებინათ და ფეხბურთელიც ჯერ კიდევ გასულ სეზონშივე იმედოვნებდა, რომ მინდორს დაუბრუნდებოდა, მაგრამ...

XII ეროვნული ჩემპიონატი ისე დაიწყო, არჩილი მოედანს სავარჯიშოდაც არ გაჰკარებია და მშობლიური გუნდის თამაშებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

ორშაბათს კი, როგორც ჩანს, შაკიაშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ბოლოს და ბოლოს გაიკეთა ოპერაცია. ეს ფეხბურთელი რომ „სიონისთვის“ დიდ ძალას წარმოადგენს, გუნდის მთავარი მწვრთნელის, სპარტაკ არჩვაძის სიტყვებიდანაც ჩანს: „არჩილის დაბრუნებას სულმოუთქმელად ველით. იგი ამ ეტაპზე შეუცვლელია გუნდისთვის, თანაც ჩვენი უმთავრესი პრობლემა დაცვის ხაზშია საძიებელი, იქ, სადაც შაკიაშვილის შემართებაა საჭირო.“

შაკიაშვილი ვარჯიშს ერთ თვეში გააბლებს, გუნდს კი, ალბათ, ჩემპიონატის მეორე წრიდან შეეშველება.

ბაბუა კვანტალიანი

ქუთაისში კავკასიონი

ახლახან ქუთაისში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის ავთანდილ ქობალიას სახელობის მოზარდ ფეხბურთელთა ტურნირი. საკმაოდ წარმომადგენლობითიც. ერთმანეთს მასპინძელთა ოთხი, თბილისის, რუსთავის, წყალტუბოსა და ბათუმის გუნდები ეჯიბრებოდნენ.

საინტერესოდ წარმართული ტურნირი თბილისის ილია დათუნაშვილის სახელობის კლუბის საფეხბურთო გუნდ „კავკასიონს“ გამარჯვებით დასრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელი ნორჩები დანარჩენებზე ერთი წლით უმცროსები იყვნენ. მათ როლანდ კიზირია წვრთნის.

ბოლოს კი, როგორც ყოველთვის, ორგანიზატორებმა ტურნირში გამორჩეული ფეხბურთელებიც გამოარჩიეს. საუკეთესო მეკარე კავკასიონელი გიორგი ბახტაძე გახდა, ყველაზე ტექნიკური — ლევან შარიქაძე, საუკეთესო ფეხბურთელი კი — რევაზ ჯაშიაშვილი.

ლუკა თალაკვაძე

ხსოვნის უკვდავსაყოფად

გუშინ სპორტულ კომპლექს „ქარიშხალაში“ დასრულდა აფხაზეთში გმირულად დაღუპული ჟიული შარტავას ხსოვნის ტურნირი, რომლის ორგანიზება აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას, სპორტის დეპარტამენტისა და აფხაზეთის ახალგაზრდული დეპარტამენტის დახმარებით არ გასჭირვებია.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ სხვა თანამდგომებთან ერთად ყველა საკითხი დროულად გადაჭრა. ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა დიმიტრი ჭანტურიამ ფორმალური მხარეები მოაგვარა და 12-გუნდიანი, მინი-ფეხბურთის ტურნირიც ჩატარდა.

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოიგო თუ წააგო. მთავარია, იყო ხსოვნა, სინანული და სიხარულიც. დარიგდა სხვადასხვა ფულადი და სამახსოვრო პრიზი, ტურნირს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაესწრო.

ჟიული შარტავას ხსოვნის ტურნირი 1997 წლიდან ტარდება და უკვე ტრადიციად იქცა. ერთია მხოლოდ საკითხავი, როდის გაიმართება ის სოხუმში? ბევრს, ძალიან ბევრს სჯერა, რომ ეს აუცილებლად მოხდება.

დათო დანელია

საქართველოს პირველი ლიგა 12 ჩემპიონატი პირველი წრე

8 ტური

სიმშვიდე ქარიშხლის წინ

უცნაური რამ სჭირს პირველი ლიგის გათამაშებას. ტურგამოშვებით ისეთი აყალმაყალი ხდება, მსაჯები მოთამაშეთა გაფრთხილება-გაძევებას, დისციპლინარები კი დამნაშავეთა დასჯას ვერ აუდიან. პირველი ტურიდან მოყოლებული, ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მე-7 შფოთიან ტურს მშვიდი მერვე მოჰყვა, თანაც იმდენად წყნარი და კორექტული, რომ მსაჯებმა ზუთ თამაშში („ზუგდიდი“ — „ოკეანეს“ ოქმს ფედერაციაში მიტანა დაუგვიანდა) მხოლოდ 7 ფეხბურთელი გააფრთხილეს, ეს კი საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერი ლიგისთვის მართლაც სანიმუშოა. არადა, გასულ ტურში, გეხსომებათ, რა დიდი აურზაური მოხდა, „მილანი“ — „მეტალურგის“ მატჩში და შეხვედრა ლამის ჩაიშალა კიდეც. ამასთან დაკავშირებით სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტი დღეს იმსჯელებს და მომხდარს უფრო დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში“ გაგაცნობთ. ჩვენ კი ჯობს, მშვიდი მერვე ტურის პერიპეტიებს გავეცნოთ. ერთი კია, ეს „სიმშვიდე“ დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. მერვეს მეცხრე მოსდევს (რვა ოქტომბერს), ტრადიცია კი ისეთია, ქარიშხალს წინასწარმეტყველებს...

ლიგაში ლიდერი შეიცვალა. მეორეადგილოსანმა „შუქურამ“ მოიგო, „ცხინვალმა“ წააგო და, ბუნებრივია, ამ ორმა გუნდმა ადგილები გაცვალა.

თორმეტათასიან „26 მაისზე“ ხუთასიოდე ქომაგი ადევნებდა თვალყურს „სამგურალის“ მონდომებულ, გააზრებულ თამაშს. იასონ ბზიკაძის გაწვრთნილები მრისხანე „ცხინვალს“ არ შეუშინდნენ და 59-ე წუთისთვის მეტოქეს ისეთი ანგარიშით ამარცხებდნენ, ბევრს გააკვირვებდა. ქუთათელაძის დუბლით და ჯიქიას მეორე ტაიმში გატანილით, „სამგურალი“ 3:0-ს იგებდა, როცა ბოჭორაძემ ანგარიში „დაასვენა“ 62-ე წუთზე. „ცხინვალს“ მატჩის გადარჩენისთვის საკმაო დრო რჩებოდა და მწვრთნელებმა ლიგის უპირველესი ბომბარდირი — გვირჯიშვილი შეუნაცვლეს ინერტულად მოთამაშე ჩაჩიბაიას. გვირჯიშვილის ბურთთან პირველივე შეხება გოლით დასრულდა, თუმც „ცხინვალმა“ საბოლოოდ გამოფხიზლებულ და დაცვაზე გაფაციცებულ მეტოქეს მეტი ვერაფერი მოუხერხა და ჩემპიონატში მეორედ დამარცხდა.

აღმავლობით თამაშობს ქობულეთის „შუქურა“. ზღვისპირელებმა უპრობლემოდ სძლიეს „ხობს“. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კალანდაძემ, რომელმაც აქამდე გატანილი ზუთ ბურთს ორიც შემატა და ბომბარდირთა დავაში ახლა მხოლოდ გვირჯიშვილს ჩამორჩება. „შუქურამ“ რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა, ამ გუნდის ხუთივე მოგებულ საშინაო მატჩში ბურთების ბალანსი კი მართლაც შთამბეჭდავია — 12:0.

4:0 გაიმარჯვა უმაღლესი ლიგის საგზურის კიდევ ერთმა მაძიებელმა ზესტაფონურმა „მეტალურგმა“. იმერლებმა აუტსაიდერი „ივერია“ დაამარცხეს და „სამგურალის“ მსგავსად 14 ქულა დააგროვეს, თუმც მეტოქეს ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩებიან. ზესტაფონელთა გამარჯვებას ფირცხალაიშვილმა ჩაუყარა დუბლით საფუძველი, 59-ე წუთზე მერებაშვილის გოლს კი მატჩის ბოლოს აჭარაძემ ერთიც მიაყოლა და ხაშურელები შინ შერცხვენილები გაბრუნდნენ.

„სამართალში მიცემულმა“ „მილანმა“ (ღღევანდელი სტკ-ის სხდომის მთავარმა მიზეზმა) სტუმრად აუღელვებლად სძლია „თბილისს“. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ვლადიმერ ღუდუშაურს პენალტი რომ გამოეყენებინა, „მილანის“ გამარჯვება უფრო თვალსაჩინო გახდებოდა, მაგრამ კახელები მხოლოდ ტოკლიკიშვილის გოლს დასჯერდნენ.

პირველი მატჩი ითამაშა ფრედ „თორმა“. ბორჯომელებს „გურიასთან“ ქულა თალაკვაძემ მოუტანა, მანამდე სტუმრები ფაცურიას გოლით იგებდნენ.

მეცხრე ტური კვირას ჩატარდება. ინტერესს იწვევს „მილანი“ — „სამგურალის“ და „გურია“ — „მეტალურგის“ შეხვედრები. ტურის უმნიშვნელოვანესი მატჩი კი გორში გაიმართება, „ცხინვალი“ „შუქურასთან“ დაკარგული პირველი ადგილის დაბრუნებას შეეცდება.

ბაბუა კვანტალიანი

ბორჯომი
4 ოქტომბერი
15 საათი
ჯიმშერ ზალინდელიანი
300 (ტევადობა 3 000)

თორი 1:1 გურია

0:1 ფაცურია (48), 1:1 თალაკვაძე (62)

თორი: ა. ლაბაძე, კობულაშვილი, გ. ლომიძე, ელასაშვილი, ლეკიშვილი, კ. ჯანიშვილი, ხოსროშვილი, თალაკვაძე, სეფრეთელაძე (ზარანდია 72), ვარდიაშვილი, გლუშიძე

სათადარიგო: სულაკვა; სუხიაშვილი, ბალიკაშვილი, დ. ფირცხალავა, ზაქარეიშვილი

გურია: გ. დოლიძე, ვოსკანოვი, გაბრიჭიძე, ჯღარკავა (შველიძე 85), სულაკაძე, გარუკა, ჩიტაია (ბენლაძე 80), ენდელაძე, დ. მინაშვილი (გ. სამსარაძე 78), ფაცურია, თორია

სათადარიგო: მურკვლიშვილი; ორბელიძე, კუკულაძე, კირკიტაძე

მარშრუტლები: გარუკა (44), ჯღარკავა (66), გლუშიძე (82)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე, ა. მუსკოვი (ყველა თბილისი)

წყალტუბო
4 ოქტომბერი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 3:2 ცხინვალი

1:0, 2:0 ქუთათელაძე (17, 31), 3:0 ჯიქია (59), 3:1 ბოჭორაძე (62), 3:2 გვირჯიშვილი (64)

სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ქელიძე, თორქია, ქოქიანიძე, ბაბუნაშვილი, დარსაძე, კუსალაშვილი, ლ. ქობულაძე (ტეფოვი 66), კიკვიძე (ჯიქია 46), ქუთათელაძე (მიქარაძე 46)

სათადარიგო: თ. გიორგაძე, ფხაკაძე, გოლეთიანი, ლეონელია

ცხინვალი: ქესანაშვილი (დ. მისურაძე 46), მურადელი, ცანდაძე (ზ. მისურაძე 46), ვაჩლაგაშვილი, კობაური, არუთინიანი, მარგიევი, ნიქარიძე, ნასუაშვილი, ჩაჩიბაია (გვირჯიშვილი 64), ბოჭორაძე

სათადარიგო: ტყემალაძე, გუგულაშვილი, მარლიშვილი, მოსიაშვილი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამსარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (ტულარიფში); ლ. მიქელაძე (სამტრედია)

თბილისი
4 ოქტომბერი
15 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

თბილისი 0:1 მილანი

0:1 ტოკლიკიშვილი (70)

ლუდუშაურმა ვერ გიიტანა ბენალტი (90)

თბილისი: კუსტატაშვილი; ზ. ნიკურაძე (შუშარაშვილი 79), ტყეშელავა, ქუხილავა, სალარიშვილი, ბერიაშვილი, მესხიშვილი (მანგაძე 46), კოხრიძე (ჯღარკავა 74), მანჭარაული, ლუფაშვილი

სათადარიგო: ჯვარშვილი, დ. შენგელია, ჰ. ფირცხალავა, ქოსიძარიშვილი

მილანი: გ. სომხიშვილი, მეტონიძე, ვ. ლუდუშაური, კობაძე, სოხელია (ფარამაზოვი 39), დ. კბილაძე, ქყონია (კიკვიძე 51), ინასარიძე, მეჯოგი, ტოკლიკიშვილი, ტარუალაშვილი (მ. სომხიშვილი 61)

სათადარიგო: შავშიშვილი, გ. ჩიტაური

მარშრუტლები: მეჯოგი (32), მ. სომხიშვილი (66), შუშარაშვილი (90)

მსაჯები: ლ. ფანაიშვილი; ა. თბილელი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (ფუშეთი); ა. ჯრიტაშვილი (თბილისი)

ზესტაფონი
4 ოქტომბერი
15 საათი
ვიტალურგი
300 (ტევადობა 10 000)

მეტალურგი 4:0 ივერია

1:0, 2:0 ფირცხალაიშვილი (16, 43), 3:0 მერებაშვილი (59), 4:0 აჭარაძე (90)

მეტალურგი: ოდიკაძე, გოგაძე, ჰ. ლურსმანაშვილი (გეგეშიძე 46), მერებაშვილი, ბაქრაძე, აჭარაძე, კაციაშვილი (აბაზაძე 61), ძიძიგაშვილი, ამაშუკელი, გ. გვაზავა (ზოდელაძე 65), ფირცხალაიშვილი

სათადარიგო: ნიქაბერიძე; ფანცხავა

ივერია: ხვედელიძე; ფლეძე, ულუმელაშვილი (ჩალაძე 30), გ. ლურსმანაშვილი, ნეკერაშვილი, ბაღლიაშვილი (ლეკიშვილი 46), ჯობაძე, ვლასოვი, ბლიაძე (თ. ხაჩიძე 63), მინაძე, გ. ხაჩიძე

სათადარიგო: ბალიანი, ჯაფარაშვილი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკალეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ჯ. მესხი (ზუგდიდი)

ძუელი ათონი
4 ოქტომბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 000)

შუქურა 4:0 ხობი

1:0 ბერიძე (32), 2:0 კალანდაძე (56), 3:0 გეგეშიძე (74), 4:0 კალანდაძე (81)

შუქურა: გოგუა; ზ. ჯეჯელავი, ოქროპირიძე, ქუტალია, ჯ. ბერიძე (ჩახუნაშვილი 62), ფუტკარაძე, ჩადუნელი (ფლიანგა 21), გეგეშიძე, კაკალაძე, კალანდაძე, ბაგუნაშვილი (ჩელებაძე 77)

სათადარიგო: გაბუნია; ქათამაძე, ლომთათიძე, ბოლქვაძე

ხობი: გოგია, ბაკაული, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ხორავა, ხურცილავა (ქეცია 62), ვართაგავა, ქაშიბაძე (ბერაია 68), მიქავა, ქოქინაძე, ზ. ბიანდი (ბერგია 62)

სათადარიგო: რ. თოლორდავა

მარშრუტლები: ხორავა (1)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. ჯარაცელია (ზუგდიდი)

ზუგდიდი
4 ოქტომბერი
15 საათი
ცენტრალური
ტევადობა 7 500

ზუგდიდი 3:1 ოკეანე

ბომბარდირები

8 - გვირჯიშვილი	ცხინვალი
7 - კალანდაძე	შუქურა
6 - ბოჭორაძე	ცხინვალი
5 - ქუთათელაძე	სამგურალი
4 - გ. გვაზავა	მეტალურგი
ვარდიშვილი	ცხინვალი
კუტალია	ზუგდიდი

პირველი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 შუქურა	8	6	1	1	13:1	12	19	5	5	0	0	12:0	12	15	3	1	1	1	1:1	0	4
2 ცხინვალი	8	5	1	2	22:8	14	16	3	3	0	0	14:1	13	9	5	2	1	2	8:7	1	7
3 ზუგდიდი	8	5	1	2	15:8	7	16	5	4	1	0	13:5	8	13	3	1	0	2	2:3	-1	3
4 სამგურალი	8	4	2	2	13:8	5	14	5	4	1	0	11:4	7	13	3	0	1	2	2:4	-2	1
5 მეტალურგი	8	4	2	2	10:7	3	14	4	4	0	0	8:1	7	12	4	0	2	2	2:6	-4	2
6 გურია	7	3	2	2	7:11	-4	11	2	2	0	0	4:1	3	6	5	1	2	2	3:10	-7	5
7 მილანი	6	3	1	2	5:5	0	10	2	2	0	0	3:1	2	6	4	1	1	2	2:4	-2	4
8 თორი	8	3	1	4	8:10	-2	10	4	2	1	1	7:5	2	7	4	1	0	3	1:5	-4	3
9 თბილისი	8	2	0	6	3:16	-13	6	5	2	0	3	2:4	-2	6	3	0	0	3	1:12	-11	0
10 ოკეანე	8	1	3	4	8:12	-4	6	4	1	2	1	3:2	1	5	4	0	1	3	5:10	-5	1
11 ხობი	8	1	3	4	2:9	-7	6	4	1	3	0	1:0	1	6	4	0	0	4	1:9	-8	0
12 ივერია	7	0	1	6	3:14	-11	1	3	0	1	2	2:5	-3	1	4	0	0	4	1:9	-8	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბილეო, საუბილარო და პირველი

რევაზ ძოძუაშვილი

იწყება... ხვალ კაუნასში, თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე, საქართველოს ეროვნული ნაკრები კორეა-იაპონიისკენ სავალ გზას დაადგება. დღეს არავინ იცის, რა მოხდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან ტკბილი ოცნებაა. ჩააღწევს კი საქართველოს ნაკრები ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთში, თუ შუა გზიდან უკან მობრუნება მოუწევს?!.

ახალი საქმე იწყება ორი მწვრთნელით, ოცი ფეხბურთელითა და ბატარა, მაგრამ მაინც იმედით. დანარჩენი კი ხვალ გამოჩნდება.

ხვალინდელი მატჩი საიუბილეო, 50-ე იქნება ეროვნული გუნდის კაპიტან გიორგი ნემსაძისთვის, რომელსაც ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

თემურ ქეცბაიას, თუ კაუნასში ან ანკონაში თავს გამოიჩენს, შანსი ეძლევა, ნაკრებში 14 გოლის გამტან შოთა არველაძეს გადაასწროს. ამჟამად თემური 13 გოლით მეორეა.

ლევან ცქიტიშვილს 10 ოქტომბერს 24-ე დაბადების დღე გაუთენდება, ხოლო ლოკომოტიველი სევასტი თოდუა შესარჩევ მატჩებში პირველად მოიგებს ნაკრების მაისურას.

ხვალ დაიწყება და ოთხ დღეში გაგრძელდება. აუცილებლად მერეც იქნება, ოღონდ საკითხავია როგორი?!

დავით ყიფიანი

ირაკლი ზოლიძე
32 წლის, ტორპედო (ქუთაისი)
ნაკრებში: 16 თამაში, -22 გოლი

დავით გვარამაძე
24 წლის, კრილია სოვეტოვი (რუსეთი)
ნაკრებში: 13 თამაში, -13 გოლი

გიორგი ნემსაძე
28 წლის, დანდი (შოტლანდია)
ნაკრებში: 49 თამაში, 0 გოლი

ლევან სილაგაძე
24 წლის, ლოკომოტივი (თბილისი)
ნაკრებში: 13 თამაში, 0 გოლი

ზურაბ ხიზანიშვილი
19 წლის, ლოკომოტივი (თბილისი)
ნაკრებში: 6 თამაში, 0 გოლი

კახა კალაძე
22 წლის, დინამო (უკრაინა)
ნაკრებში: 21 თამაში, 0 გოლი

ზურაბ მენთეშაშვილი
20 წლის, სკონტო (ლატვია)
ნაკრებში: 5 თამაში, 1 გოლი

სევასტი თოდუა
24 წლის, ლოკომოტივი (თბილისი)
ნაკრებში: 3 თამაში, 0 გოლი

ალექსანდრე რეხვიაშვილი
26 წლის, სკონტო (ლატვია)
ნაკრებში: 3 თამაში, 0 გოლი

ლევან ცქიტიშვილი
23 წლის, ფრაიბურგი (გერმანია)
ნაკრებში: 16 თამაში, 1 გოლი

ლევან კოგბიაშვილი
23 წლის, ფრაიბურგი (გერმანია)
ნაკრებში: 26 თამაში, 0 გოლი

თემურ ქეცბაია
32 წლის, ვულვერჰემპტონი (ინგლისი)
ნაკრებში: 41 თამაში, 13 გოლი

გიორგი ქინქლაძე
27 წლის, დერბი ქაუნთი (ინგლისი)
ნაკრებში: 36 თამაში, 6 გოლი

გოჩა ჯამარაული
29 წლის, ციურიხი (შვეიცარია)
ნაკრებში: 43 თამაში, 5 გოლი

კახა გოგიჩაიშვილი
31 წლის, ლოკომოტივი (თბილისი)
ნაკრებში: 27 თამაში, 1 გოლი

მიხეილ ყაველაშვილი
29 წლის, ციურიხი (შვეიცარია)
ნაკრებში: 35 თამაში, 9 გოლი

არჩილ არველაძე
27 წლის, კიოლნი (გერმანია)
ნაკრებში: 24 თამაში, 4 გოლი



რატი ალექსიძე
22 წლის, ჩელსი (ინგლისი)
ნაკრებში: 7 თამაში, 0 გოლი



ალექსანდრე იაშვილი
22 წლის, ფრაიბურგი (გერმანია)
ნაკრებში: 8 თამაში, 2 გოლი

გიორგი დემეტრაძე
24 წლის, დინამო (უკრაინა)
ნაკრებში: 12 თამაში, 0 გოლი

ერთვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
სამხრეთ ამერიკა. IX ტური

ბრაზილიელი 007

7 ოქტომბერი
04.00 კოლუმბია-პარაგვაი
8 ოქტომბერი
24.00 ვენესუელა-ბრაზილია
01.00 ბოლივია-პერუ
02.00 ეკვადორი-ჩილე
04.00 არგენტინა-ურუგვაი

ვანდერლეი ლუქსემბურგოს ნაკრებიდან წასვლით არაფერი ემველა

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მსურველი ევროპელები ჯერ ხურდებიან, სამხრეთამერიკელები კი ამ უქმეებზე შესარჩევი ტურნირის ნახევარს ჩაამთავრებენ.

უკვე ვიცით, რომ ბრაზილიის ნაკრები ვენესუელას მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კადინიოს თანხლებით ეწვევა, თუმცა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებზე საუბარი მაინც ვანდერლეი ლუქსემბურგოთი დავიწყოთ. ათას ცოდვაში დადანაშაულებულ ყოფილ მწვრთნელს მისმა ყოფილმა საყვარელმა რენატა ალვეშმა ახალი ბრალდება წაუყენა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლუქსემბურგო საყვარლის ბინაში სტუმრობისას აბაზანაში შედიოდა და კოკაინს ყნოსავდა.

ეს რა არის. ამას ალვეშმა ისეთი მოაყოლა... ლუქსემბურგო თურმე ნარკოტიკების შემოტანა-ტრანსპორტირებითაც ყოფილა დაკავებული. „რაღაც ჩემოდანი ჰქონდა, აი, ისეთი, „აგენტ 007“-ს რომ აქვს. იმითი შემოჰქონდა უპრობლემოდ ნარკოტიკები. თავისი სახელით და სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობდა და საბაჟოზეც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადადიოდ-გადმოდიოდა“ — განუცხადა ალვეშმა ჟურნალისტებს.

თავიდან ეჭვიც გამოითქვა, საყვარლის მიტოვებით დაბოღმილ ქალს შურისძიების წყურვილი ხომ არ ალაპარაკებსო, მაგრამ ალვეში პრესას არ დასჯერდა, პოლიციაშიც მივიდა და თავისი სიტყვების ჭეშმარიტება ჩვენების მიცემით დაადასტურა. ამ განცხადებამ ადგილი ლუქსემბურგოს საქმის ისედაც სქელ ტომში ჰპოვა.

რაც შეეხება ნაკრებს, კადინიოს ვენესუელის წინააღმდეგ რივალდო, ჟუნიორი და ფლავიო კონსეისაო არ ეყოლება — სამივეს ტრავმა აწუხებს. ნაკრებში არ არიან მიწვეულნი „ფლამენგოს“ ნახევარმცველი ალექსი და გრემიოელი თავდამსხმელი რონალდინიო. მწვრთნელს მათი ოლიმპიადაზე თამაში უსუსურად მიუჩნევია და შემადგენლობიდან ამოგდების მიზეზიც ეს გამხდარა.

კადინიო ყველაზე მეტად იმითაა დაღონებული, რომ რივალდო არ ჰყავს. მის შემცვლელად ვასკუელი ჟუნინიო პაულისტა ეგულება, ნაკრების ნამდვილი ლიდერი კი ასევე „ვასკუ და გამას“ ვეტერანი რომარიოა. გეხსომებათ, წინა ტურში ბოლივიასთან რომარიომ ჰეთთრიქი შეასრულა. მას ჟოაო აველანჟის ტურნირშიც ბევრი გოლი გააქვს და ბომბარდირთა სიაში მეორეა.

დანიელ პასარელა კი ბუენოს აირესში სათამაშოდ გადახალისებულ ურუგვაის ნაკრებს ჩაიყვანს. მოთამაშეთა უმეტეს ნაწილს შინაურ ჩემპიონატში მოასპარეზენი შეადგენენ, ახალწვეული კი სამია: 18 წლის ნასიონალელი მცველი ალვარო მენესესი, მისი თანაგუნდელი თავდამსხმელი მარიო რეგუეირო და დანუბიოელი ნახევარმცველი კრისტიან სალეხასი. ტრავმების გამო არგენტინასთან ვერ ითამაშებენ იუვენტუსელი პაოლო მონტერო და ფაბიენ ონილი.

დანიელ პასარელასთან დაკავშირებით გავრცელდა ცნობა, რომ შესაძლოა, ის მილანის „ინტერმა“ მიიწვიოს. პასარელას კომენტარი ასეთია: „არავინ შემხმიანებია. თავადაც გაზეთიდან შევიტყვე ეს ამბავი. ახლა ამაზე საფიქრალად არც მცალია, ურუგვაის ნაკრების მომზადებით ვარ დაკავებული.“

გიორგი დარჯანია

REUTERS ლა პასიდან

ბოლივიელები გონსალო გალინდო და ოსკარ სანჩესი პერუსთან მატჩის წინ უხასიათობას არ უჩივიან

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის

შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

ი. ჭავჭავაძის l ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია)

☎ 29-48-60. 23-53-17

ურთიერთშეხვედრები

არგენტინა — ურუგვაი

12.06.1910	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	4:1
17.07.1916	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	0:0
14.10.1917	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
13.05.1919	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	2:3
12.09.1920	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	1:1
30.10.1921	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	1:0
08.10.1922	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
02.12.1923	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	2:0
02.11.1924	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	0:0
24.10.1926	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	0:2
20.11.1927	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	3:2
10.06.1928	ოთ	არგენტინა — ურუგვაი	1:1
13.06.1928	ოთ	არგენტინა — ურუგვაი	1:2
17.11.1929	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	2:0
30.07.1930	მჩფ	ურუგვაი — არგენტინა	4:2
27.01.1935	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	3:0
23.01.1937	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	2:3
23.02.1941	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	1:2
7.02.1942	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
25.02.1945	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	1:0
02.02.1946	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	3:1
28.12.1947	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	3:1
27.03.1955	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	6:1
15.02.1956	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
20.03.1957	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	4:0
30.03.1959	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	4:1
16.12.1959	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	5:0
02.02.1967	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
16.06.1986	მჩფ	არგენტინა — ურუგვაი	1:0
09.07.1987	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	1:0
08.07.1989	კ.ა.	არგენტინა — ურუგვაი	1:0
14.07.1989	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	2:0
12.01.1997	მჩშ	ურუგვაი — არგენტინა	0:0
12.10.1997	მჩშ	არგენტინა — ურუგვაი	0:0
7.07.1999	კ.ა.	ურუგვაი — არგენტინა	2:0

ბოლივია — პერუ

13.11.1927	კ.ა.	პერუ — ბოლივია	3:2
27.12.1947	კ.ა.	პერუ — ბოლივია	2:0
27.04.1949	კ.ა.	პერუ — ბოლივია	3:0
22.02.1953	კ.ა.	პერუ — ბოლივია	0:1
29.03.1959	კ.ა.	ბოლივია — პერუ	0:0
21.03.1963	კ.ა.	ბოლივია — პერუ	3:2
10.08.1969	მჩშ	ბოლივია — პერუ	2:1
17.07.1969	მჩშ	პერუ — ბოლივია	3:0
21.07.1975	კ.ა.	ბოლივია — პერუ	0:1
07.08.1975	კ.ა.	პერუ — ბოლივია	3:1
17.07.1977	მჩშ	პერუ — ბოლივია	5:0
21.08.1983	კ.ა.	ბოლივია — პერუ	1:1
04.09.1983	კ.ა.	პერუ — ბოლივია	2:1
20.08.1989	მჩშ	ბოლივია — პერუ	2:1
10.09.1989	მჩშ	პერუ — ბოლივია	1:2
01.09.1996	მჩშ	ბოლივია — პერუ	0:0
15.06.1997	კ.ა.	ბოლივია — პერუ	2:0
06.07.1997	მჩშ	პერუ — ბოლივია	2:1
02.07.1999	კ.ა.	პერუ — ბოლივია	1:0

კოლუმბია — პარაგვაი

20.12.1947	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	2:0
06.04.1949	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	3:0
20.06.1957	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	2:3
07.07.1957	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	3:0
20.03.1963	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	3:2
10.08.1969	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	0:1
24.08.1969	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	2:1
20.07.1975	კ.ა.	კოლუმბია — პარაგვაი	1:0
30.07.1975	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	0:1
24.02.1977	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	0:1
06.03.1977	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	1:1
27.10.1985	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	3:0
03.11.1985	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	2:1
07.07.1987	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	0:3
05.07.1989	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	1:0
27.08.1989	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	2:1
17.09.1989	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	2:1
01.08.1993	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	0:0
22.08.1993	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	1:1
16.07.1995	კ.ა.	პარაგვაი — კოლუმბია	1:1
24.04.1996	მჩშ	კოლუმბია — პარაგვაი	1:0
02.04.1997	მჩშ	პარაგვაი — კოლუმბია	2:1

ეკვადორი — ჩილე

05.02.1939	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	1:4
02.02.1941	კ.ა.	ჩილე — ეკვადორი	5:0
05.02.1942	კ.ა.	ჩილე — ეკვადორი	2:1
14.01.1945	კ.ა.	ჩილე — ეკვადორი	6:3
11.12.1947	კ.ა.	ჩილე — ეკვადორი	3:0
17.04.1949	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	0:1
19.03.1953	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	0:3
27.02.1955	კ.ა.	ჩილე — ეკვადორი	7:1
24.03.1957	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	2:2
15.08.1965	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	2:2
22.08.1965	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	3:1
12.10.1965	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	1:2
27.07.1969	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	4:1
03.08.1969	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	1:1
27.02.1977	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	0:1
20.03.1977	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	3:0
24.05.1981	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	0:0
14.06.1981	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	2:0
03.03.1985	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	1:1
17.03.1985	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	6:2
10.07.1989	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	1:2
07.07.1996	მჩშ	ჩილე — ეკვადორი	4:1
08.06.1997	მჩშ	ეკვადორი — ჩილე	1:1
17.06.1997	კ.ა.	ეკვადორი — ჩილე	2:1

ვენესუელა — ბრაზილია

10.08.1969	მჩშ	ვენესუელა — ბრაზილია	0:5
24.08.1969	მჩშ	ბრაზილია — ვენესუელა	6:0
31.07.1975	კ.ა.	ვენესუელა — ბრაზილია	0:4
13.08.1975	კ.ა.	ბრაზილია — ვენესუელა	6:0
08.02.1981	მჩშ	ვენესუელა — ბრაზილია	0:1
29.03.1981	მჩშ	ბრაზილია — ვენესუელა	5:0
28.06.1987	კ.ა.	ბრაზილია — ვენესუელა	5:0
01.07.1989	კ.ა.	ბრაზილია — ვენესუელა	3:1
30.07.1989	მჩშ	ვენესუელა — ბრაზილია	0:4
20.08.1989	მჩშ	ბრაზილია — ვენესუელა	6:0
01.08.1993	მჩშ	ვენესუელა — ბრაზილია	1:5
05.09.1993	მჩშ	ბრაზილია — ვენესუელა	4:0
30.06.1999	კ.ა.	ვენესუელა — ბრაზილია	0:7

კ.ა. — კოს ამერიკას; მჩშ — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; მჩფ — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი



ანელკა ჩივის

გუშინ ესპანურ „მარკაში“ ნიკოლა ანელკასთან ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ფეხბურთელი მადრიდის „რეალში“ თავის აუტანელ ყოფაზე საუბრობს.

„რეალი“ ძალიან მეგობრული გუნდია. ბიჭებს მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. გამონაკლისი მხოლოდ მე ვიყავი — იხსენებს ანელკა — კლუბში მისვლის დღიდან წესიერად არც მესალმებოდნენ. გაუგებარია, ახალ თანაგუნდელს, რომელსაც არაფერი დაუშავებია და ახალ გარემოში მოხვედრილს მხარდაჭერა სჭირდება, ასე რატომ უნდა მოექცე. ვფიქრობ, ამაში პრესამაც შეიტანა წვლილი. „რეალში“ ჩემს გადასვლასთან დაკავშირებით უზარმაზარი აჟიოტაჟი ატყდა და უამრავი ჭორიც ითქვა. ჯერ მადრიდში ჩასული არც ვიყავი და წერდნენ, ანელკა ყველას ზემოდან უყურებსო. გულგრილი დახვედრაც ალბათ ამის ბრალია. ისე, იქამდე ინგლისური პრესაც არ ყოფილა ჩემდამი კარგად განწყობილი“.

გავიხსენოთ, რომ მარტში ანელკამ თვითნებურად მიატოვა კლუბი და კარგა ხანს გაუჩინარდა. დაბრუნების შემდეგ კლუბმა მას ჯარიმა დააკისრა და თვენახევრით გუნდიდანაც მოკვეთა, თუმცა მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩებში ვისენტე დელ ბოსკემ ფრანგის საჭიროება იგრძნო და სათამაშოდ დაუძახა... „რეალის“ ლიგის ფინალში გასვლაში ანელკას გოლებმა დიდი წვლილი შეიტანა.

და ისევ ფეხბურთელს მოვუსმინოთ: „რამდენჯერ მსურდა მწვრთნელთან საუბარი. მინდოდა მეთქვა, რომ ჩემი უღიმღამო თამაში გაუსაძლისი ატმოსფეროს ბრალი იყო, მაგრამ ვინ მოგისმინა. მთელი სეზონი დელ ბოსკე ჩემთან ლაპარაკს თავს არიდებდა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ყველასთან მე ვტყუოდი. ლორენსო სანსიც უცნაურად იქცეოდა. მოლაპარაკებების დროს შვილივით მეპყრობოდა, მაგრამ როგორც კი კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ, მაშინვე ამითვალწუნა. რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ იმისთვის ვჭირდებოდი, როგორმე უფრო სარფიანად გავეყიდე. აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნა ასეთი დამოკიდებულება? ჩემში ამხელა თანხა გადაიხადა და რაღაც ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს.“

როგორც ვიცით, ანელკას ვარაუდი არ გამართლდა და მისი „პარი სენ ჟერმენში“ გაყიდვით მადრიდულმა კლუბმა ოთხი მილიონი დოლარით ნაკლები მიიღო, ვიდრე თავად ჰქონდა გადახდილი „არსენალისთვის“. სხვაობა უფრო მეტიც იქნებოდა, „რეალის“ ახალ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს რომ არ ეყოჩაღა. შეგახსენებთ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ლორენსო სანსი პარიზელებს 29 მილიონზე შეუთანხმდა, მაგრამ არჩევნებში დამარცხდა, ხოლო პერესმა ფული იცოტავა.

დღეს ანელკა კმაყოფილია: „ახლა მშობლიურ გარემოში ვარ. თანაგუნდელები ჩემი თანამემამულეებიც არიან და მათთან საერთო ენის გამონახვა არ მიჭირს. „პარი სენ ჟერმენი“ ჩემი გუნდია.“

არ დააყოვნა რეალელთა რეაქციამაც. თანაგუნდელთა სახელით ფერნანდო მორიენტესმა განაცხადა: „რასაც ანელკა ამბობს, მტკნარი სიცრუეა. ძალიან მეგობრულად მივიღეთ და თუ ჩვენს შორის ურთიერთობა არ აეწყო, მისი ბრალია. რატომ სხვა ახალმოსულებს არ ჰქონიათ პრობლემები?“

გიორგი დარჯანია

სიტყვა პეტიზეზე: ან ჩელსი ან არსენალი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფრანგი ემანუილ პეტისა და ესპანური „ბარსელონას“ გზები მალე გაიყრება.

ამის თაობაზე ჯერ კიდევ წინა კვირაში ალაპარაკდნენ, თუმცა მაშინ ეს ხმები თავად ფეხბურთელმა უარყო — რა წასვლა, რის წასვლა, ძირითად შემადგენლობაში ვაპირებ დამკვიდრებასო. ეტყობა, კიკინიან ფეხბურთელს მაინც ეიმედებოდა, რომ გუნდის ძირითადში მოხვდებოდა, ხავსსაც ამიტომ ეჭიდებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, ეს იმედი სულ გაუქრა. პეტის „ბარსას“ დატოვების სურვილი გამოუთქვამს.

რიგიც უმალ დაუდგა, რომელსაც სათავეში ლონდონური კლუბები — „ჩელსი“ და „არსენალი“ უდგანან.

პეტი რობერტო დი მატეოს შემცვლელად მესახებაო, უთქვამს „ჩელსის“ ახალდანიშნულ იტალიელ თავკაცს, კლაუდიო რანიერის. შეგახსენებთ, რომ დი მატეო გასულ ხუთშაბათს უეფას თასზე შვეიცარიულ „სენტ გალენთან“ მატჩში მძიმედ დაშავდა — ფეხის ორმაგი მოტეხილობის გამო დი მატეო მინიმუმ ერთი წელი დაისვენებს.

რანიერის არ იყოს, პეტის შეძენა „არსენალის“ დამრიგებელ არსენ ვენგერსაც ძალიან უნდა. ემანუილი ერთობ ავტორიტეტიანი კაცია, მისი გუნდში ყოფნა პატრიკ ვიეირაზე დადებითად იმოქმედებს და ისიც ასე თავშეუკავებლად არ მოიქცევა მინდორზე, ფიქრობს თურმე ვენგერი.

ფულის გადახდაზე ორივე — „ჩელსიც“ და „არსენალიც“, ცხადია, თანახმაა. ჰოდა, საბოლოო სიტყვაც თავად პეტეზეა.

ისე, „არსენალის“ გაგვკვირვებია: თუ ასე უნდოდა მისი გუნდში ყოლა, სეზონის წინ „ბარსელონაში“ რაღას ყიდდა?

ვანო ოქროპირიძე

მათეუსმა დრო ითხოვა

გერმანელ ვარსკვლავს ინტერის მწვრთნელობა შესთავაზეს

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა, 39 წლის ლოთარ მათეუსი, დღეს ნიუ იორკის „მეტროსტარზში" რომ თამაშობს, ხვალ შესაძლოა... მილანის „ინტერის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. დიახ, ამერიკულ მეიჯორ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს იტალიელებმა გუნდის გაძღოლა შესთავაზეს.

„გაოცებული და დაბნეული ვარ. ამ წინადადებაზე საფუძვლიანი დაფიქრებაა საჭირო. ყველაფერს ამ დღეებში გადავწყვეტ" — განუცხადა მათეუსმა გუშინ გერმანულ სააგენტო „შპორტალს".

ოთხშაბათს ნიუ იორკში მყოფი უბერებელი ფეხბურთელის ბინაში ტელეფონი აწკრიალებულა. „ავიღე თუ არა ყურმილი, ლამის ხელიდან გამივარდა, მასიმო მორატი იყო. „ინტერის" თავკაცობა შემომთავაზა" — თავი სიზმარში ეგონა გერმანელ ფეხბურთელს.

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ მასიმო მორატი მილანური კლუბის პრეზიდენტი და ის კაცია, ვინც ორშაბათს გუნდის მწვრთნელობიდან თვით მარჩელო ლიპი დაითხოვა.

„ინტერის" ხელმძღვანელობა ლიპის შემცვლელის ძებნას შეუდგა. როგორც ამბობენ, მორატიმ მთავარი მწვრთნელის სავარძელი უკვე სამ კაცს შესთავაზა. მათეუსამდე იგივე წინადადებით ურუგვაის ეროვნული ნაკრების არგენტინელ თავკაც დანიელ პასარელასა და იტალიის 21-წლამდელთა გუნდის დამრიგებელ მარკო ტარდელის მიმართა. საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არც მათ უთქვამთ.

აღსანიშნავია, რომ მათეუსს, თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება „მეტროსტარზმა" პრობლემები შეუქმნას: გერმანელ ვარსკვლავს ამ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ დასრულებია და ამერიკელებიც მისი გუნდიდან გაშვების წინააღმდეგნი ყოფილან. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს ერთი დაბრკოლებაც აფერხებს. კერძოდ, „ინტერში" გადასვლის შემთხვევაში ბუცების კედელზე ჩამოკიდება და მხოლოდ მწვრთნელის სავარძლით შემოფარგლება მოუწევს. და თუ მათეუსმა მოთამაშის კარიერას მაინც მწვრთნელობა ამჯობინა, რომ იცოდეთ, უცხო გუნდში არ მოუხდება მისვლა. გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი „ინტერის" ღირსებას 1988-92 წლებში, თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდში იცავდა. ამ გუნდის შემადგენლობაში იტალიური „სკუდეტო" და უეფას თასიც მოიგო.

სერიალი გრძელდება

მწვრთნელები სავარძლებს პანტაპუნტით კარგავენ

მწვრთნელთა „დიდი განთავისუფლების" სერია ოთხშაბათს გვიან ღამით „სარაგოსამ" გაგრძელა — ხუან მანუელ ლილომ თანამდებობა დაკარგა. ცხადია, შარშან პრიმერადივიზიონის მეოთხეადგილოსანი გუნდი წლევანდელი სეზონის დაწყებას ომახიანად გეგმავდა, მაგრამ აგერ უკვე ოთხი ტური ჩატარდა, არაგონულ გუნდს კი მოსალხენად და წარმატებაზე საოცნებოდ სულაც არ სცხელა. ამოცანას ისიც ართულებს, რომ სავო მილოშევიჩი ესპანურ კლუბში აღარ თამაშობს, იგი „პარმაში" გაყიდეს.

„სარაგოსას" პრეზიდენტმა ალფონსო სოლანამ კლუბის მაღალჩინოსანთა საგანგებო თათბირი მოიწვია. ცხადია, ისინი გამოსავალს ეძებდნენ. მალევე გადაწყდა, რომ ხუან ლილო პოსტს დატოვებდა.

გამთავისუფლებული სავარძლისთვის სოლანს ორი სპეციალისტი ჰყოლია შეგულებული: იუპ ჰაინკესი და მარკოს ალონსო. ამ უკანასკნელის „სარაგოსაში" დანიშვნა მალევე გამოირიცხა, რადგან რამდენიმე საათით ადრე მას მადრიდის „ატლეტიკოს" სადავეები ჩაბარეს — ხესუს ხილმა იგი მეორე დივიზიონში დაქვეითებული დედაქალაქური კლუბის მწვრთნელად დანიშნა.

სოლანი ჰაინკესის პასუხსღა ელოდა, თუმც ალბათ, არც აქედან გამოვა რამე, რადგან „ბენფიკადან" სულ ახლახან წასულმა გერმანელმა „სარაგოსაში" მისვლაზე უარი განაცხადა. მწვრთნელს თურმე სურს, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე მაინც დაისვენოს. ასე რომ, ესპანეთის ჩემპიონატის თავბრუდამხვევ მორევში შესვლას სულაც არ აპირებს. მით უმეტეს, რომ ჰაინკესმა ზედმიწევნით კარგად იცის პრიმერადივიზიონი. იგი სამ ესპანურ კლუბს — მადრიდის „რეალს", ბილბაოს „ატლეტიკს" და „ტენერიფეს" ედგა სათავეში. „ახლა არც „სარაგოსაზე" და არც სხვა კლუბზე ვფიქრობ. დავისვენებ და კარგად მოვიფიქრებ, მომავალში რა ვაკეთო" — განუცხადა ჰაინკესმა პოპულარულ გამოცემა „მარკას".

ცივი უარით გამოსტუმრებული სარაგოსელები ახლა სხვა მწვრთნელს ეძებენ. ჯერჯერობით კი დროებით თავკაცად სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ლუის კოსტა დანიშნეს.

მომავლისთვის არაგონში სხვა სახელებსაც აბრუნებენ, კერძოდ, ბილბაოს „ატლეტიკის" ყოფილ ფრანგ თავკაც ლუის ფერნანდესს, აგრეთვე სანტანდერის „რასინგში" ნამუშევარ გრეგორიო მანსანოს და მადრიდის „რეალის" ყოფილ მცველ ანტონიო მასედას.

პრიმერადივიზიონში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი ლილო წლეულს პირველი იყო, ვინც თანამდებობა დაკარგა, მის კვალს კი ეგებ „მალიორკას" თავკაცი ლუის არაგონესი გაუყენონ. ბალეარელებს მომავალ ტურში „რასინგი" ხვდება. მწვრთნელს პირდაპირ დაუსვეს საკითხი — ან სამი ქულა აიღე, ანაც სავარძლიდან წამოდექით. არადა, კუნძულელებს შესაშფოთებლად მართლაც აქვთ საქმე, გუნდი ხომ ცხრილის ფსკერზეა.

სამშაბათს, ერთ-ერთი მორიგი ვარჯიშის შემდეგ, არაგონესმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი მხარს მიჭერს, თავად ვიცი, რომ თუ შემდეგ თამაშს ვერ მოვიგებთ, „მალიორკას" მწვრთნელი აღარ ვიქნები. არადამაკმაყოფილებელ შედეგზე ყოველთვის თავკაცია პასუხისმგებელი".

ნიკა ზუბლაძე

ამხანაგური მატჩი

საფრანგეთი ½ კამერუნი

კამერუნის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, ახლა მსოფლიოსა და ევროპის ტრიუმფატორებთან მოინდომა ტოლ-სწორად გაჯიბრება, აკი გამოუვიდა კიდეც. პარიზში ამხანაგური მატჩი 1:1 დასრულდა, აფრიკელთაგან ულამაზესი გოლის მომტანმა პატრიკ მბომამ კი საღამოს ბრწყინვალე უწოდა. „აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ დავამტკიცოთ, ფრანგებთან გამკლავება შეგვიძლია. ეს ჩვენ შევძელით" — განაცხადა „პარმას" ფეხბურთელმა.

ფრანგთაგან ტრავმის გამო ზინედინ ზიდანსა და ფაბიენ ბარტეზს არ უთამაშიათ. მასპინძელთა კარს თავიდან ლიონელ ლეტიზი იცავდა, ვინც მერე რიშარ დუტრუელმა შეცვალა. ამან სტუმართა მეტად სახიფათო შეტევები ჩაშალა და თავის გუნდს ფრე შეუნარჩუნა.

მატჩის შემდეგ ფრანგთა თავკაცმა როჟე ლემერმა თქვა: „კამერუნის ნაკრები უკვე ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. გამოგიტყდებით, ზოგიერთ ჩვენგანს მათ წინააღმდეგ თამაში გაუჭირათ კიდეც. აფრიკელები მხნედ და თავდაჯერებულად გამოიყურებიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოლიმპიადა მოიგეს."

კრისტიან პანუჩი

ინტერში ხომ არ დაბრუნდებოდით?

„რაკი ლიპი „ინტერიდან" წავიდა, „სან სიროზე" დაბრუნებაც შეიძლება" — განაცხადა იტალიელმა მცველმა კრისტიან პანუჩიმ, რომელიც მილანურ კლუბის მწვრთნელთან უთანხმოების გამო იძულებული იყო, კლუბი გამოეცვალა და დროებით „ჩელსიში" გადაბარგებულიყო. მადრიდის „რეალის" ყოფილი მარჯვენაფლანგელი ლონდონში განათხოვრებული გახლავთ.

იტალიური მასმედია ასე ბჭობს: იმ შემთხვევაში, თუ „ინტერმა" პანუჩის დაბრუნება არ მოისურვა, იტალიელმა შესაძლოა მაინც დატოვოს „სტემფორდ ბრიჯი" და „სან სიროს" მიაშუროს, ოღონდ სტადიონის მეორე მობინადრე „მილანში" ჩაირიცხოს. კრისტიანს ამ კლუბში აღრეც უთამაშია და არც „მილანის" ხელმძღვანელობაა წინააღმდეგი, ფეხბურთელი კვლავ მიიწვიოს. ამას არც პანუჩი გამორიცხავს, თუმცა იმასაც ამბობენ, „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის მცველი ძალიან მოსწონს და მას თანაქალაქელ მეტოქეს არაფრისდიდებით დაუთმობსო.

ნიკა ზუბლაძე

REUTERS სურ. დეტრიდან

პატრიკ ვიეირა მარკ ვივიენ ფოეს შებოჭვას ლამობს

მარადონა დანდიში

გუშინ „სარბიელის" პირველი გვერდიდან კლაუდიო კანიჯა გვიღიმოდა. იქვე ვიუწყებოდით, კაუნასში მყოფმა გიორგი ნემსაძემ შესაძლოა ჯერ არც იცოდეს, რომ ახალი თანაგუნდელი ჰყავსო.

დღეს ერთი ახალი ამბავიც ვთქვათ. დანდის „დენს პარკზე" გამართულ ერთ-ერთ მომდევნო მატჩს ტრიბუნიდან, ალბათ, დიეგო მარადონაც მიადევნებს თვალს და თუ „დანდიმ" გაიმარჯვა, სხვებთან ერთად გაიხარებს. ამის თაობაზე კლაუდიო კანიჯამ ოთხშაბათს, პრესკონფერენციაზე განაცხადა. „კონტრაქტი რომ გავაფორმე, დიეგომ დამირეკა და წარმატება მისურვა — თქვა მსოფლიოს ოდინდელმა ვიცე-ჩემპიონმა — თან დამპირდა, ორ-სამ კვირაში შოტლანდიაში ჩამოვალ და გინახულებ, „დანდის" მატჩსაც დავესწრებიო".

კანიჯასა და მარადონას მეგობრობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი, „დანდი" კი მომდევნო შეხვედრას „აბერდინის" წინააღმდეგ გამართავს.

გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

მიმიფურთხებია...

მილოშევიჩი მილოშევიჩის წინააღმდეგ

ფიფამ გადაწყვიტა და იუგოსლავია-რუსეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, 7 ოქტომბერს ბელგრადში რომ უნდა გამართულიყო, დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო გაისად 25 აპრილისთვის გადადო. ამ ცნობამ რუსეთის ნაკრების მწვრთნელები და მოთამაშეები ერთობ აღაშფოთა და ქვეყნის საფეხბურთო ჩინოსანთა მიმართ არაერთი „ტკბილი სიტყვა“ ათქმევინა.

იუგოსლავიელები კი...

„როცა თამაშის გადადების ამბავი გავიგე, ვიფიქრე, მიმფურთხებია ყველაფრისთვის, გუდა-ნაბადს ავიკრავ და „სპარტაკის“ ბაზაზე წავალ-მეთქი. მაინტერესებს, რატომ ცდილობენ რუსეთის საფეხბურთო კავშირის (რსკ) ჩინოსნები ჩვენს მარიონეტებად გადაქცევას? ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რსკ-ს სამამულო ფეხბურთისადმი დამოკიდებულება და მისი ხელმძღვანელების „ავტორიტეტი“. კავშირს არც უცდია რაიმეს გაკეთება, არადა, ამისთვის მათ ხელფასს უხდიან. განა არ იცოდნენ, რომ იუგოსლავიელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და საფრთხე არსაიდან გვემუქრებოდა? მაგრამ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია უკეთ მუშაობს. 7 ოქტომბერს გამარჯვების მეტი შანსი გვქონდა. საბრძოლველად განწყობილნი ვიყავით, მოწინააღმდეგე კი ახალ გუნდს აყალიბებს და ესეც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ...“

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ რომანცევის ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც მან საკუთარი ქვეყნის საფეხბურთო დიდმოხელეებს „მიუძღვნა“.

რომანცევს მხარი ნაკრების მოთამაშეებმაც აუბეს: „ვერ გამიგია, რას აკეთებს რსკ თავის პრეზიდენტიანად — ცხარობს ვალერი კარპინი — აპრილში ხომ რუსეთის ჩემპიონატი მხოლოდ იწყება, ლეგიონერები კი გადაღლილები არიან. ამიტომ, როგორ მდგომარეობაში იქნება ნაკრები, ვერავინ იტყვის“.



REUTERS ბელგრადიდან

სავო მილოშევიჩი (მარცხნივ) „ოტპორის“ აქციაში ამგვარადაც მონაწილეობდა

„ახლა კარგ ფორმაში ვართ. ძალიან საწყენია, რომ თამაში გადაგვიტანეს. ვინ იცის, მერე რა მოხდება“ — ნაკრების კაპიტანი ვიქტორ ონოპკო ყველაზე თავშეკავებული იყო.

რუსი ფეხბურთელები ამ ამბის გაგებამდე ჩინებულ ხასიათზე ყოფილან, ახლა კი თურმე ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნათ და რამდენიმე დღე მათ კვლავ ყალიბში ჩადგომას დასჭირდება. 11 ოქტომბერს რომანცევის გუნდი ლუქსემბურგის ნაკრებს უმასპინძლებს, დღეს კი ამხანაგურად მახაჩყალის „ანჟის“ გაეჯიბრება, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა.

რსკ-ს პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი ბრალდებას უარყოფს და მიაჩნია, რომ რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა: „სამშაბათიდან სულ ამ საკითხზე ვმუშაობდით. თამაშის მოსკოვში გადმოტანაც გვინდოდა, მაგრამ ფიფაში გვიპასუხეს, უკვე გვიანაა. რატომ მოხდა ასე? იმას ჰკითხეთ, ვინც გადაწყვეტილება მიიღო, რსკ-ს გენმდივან როდიონოვს და მთავარ მწვრთნელ რომანცევს...“

ვითომ მართლა არ იციან, ვინ რას აკეთებს და რატომ გადაიდო მატჩი? რომანცევს ჟურნალისტებისთვის უთხოვია, ეგებ გამოიძიოთ და ხალხს გააგებინოთ, რომელმა დიდმოხელემ მიიღო ასეთი „ჭკვიანური“ გადაწყვეტილებაო.

იუგოსლავიელებს კი სხვა პრობლემები აწუხებთ. იტალიური „პარმას“ თავდამსხმელი, ევრო 2000-ის ერთ-ერთი გმირი, სავო მილოშევიჩი ბელგრადში სერბული ოპოზიციის აქციებში მონაწილეობს. ის სტუდენტურ მოძრაობა „ოტპორს“ უჭერს მხარს და თავისი მოგვარე პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგია. „ოტპორს“ მიაჩნია, რომ ოპოზიციის ლიდერმა ვოსლავ კოშტუნიცამ საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში მოუგო მოქმედ დიქტატორს და ამიტომ მეორე ტურის გამართვა საჭირო აღარაა (კოშტუნიცამ თავისი გამარჯვების ამბავი რატომღაც „სარბიელსაც“ მოგვწერა).

27 წლის სავო მილოშევიჩს ადრეც არაერთხელ გამოუხატავს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია. მაგალითად, როცა ბელგრადს ნატო ბომბავდა, სავო „სარაგოსაში“ თამაშობდა და მადრიდში სერბთა მხარდამჭერ ყველა აქციაში მიიღო მონაწილეობა.

მიროსლავ ჯუკიჩი, ესპანური „ვალენსიას“ მცველი მიიჩნევს, რომ ფიფამ მართებულად გადაწყვიტა, იუგოსლავიელებს შინ თამაში რომ აუკრძალა: „ახლა იუგოსლავიაში არავის ეფეხბურთება. ვფიქრობ, ფიფა სწორად მოიქცა. თუმცა, მჯერა, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება და ხალხი ისევ დატკბება საყვარელი ფეხბურთელების ხილვით“ — თქვა ჯუკიჩმა.

აი, ასეთი განსხვავებული რეაქცია გამოიწვია ფიფას აკრძალვამ.

სოლომონ გულისაშვილი

ახდა, ასრულდა ოცნება

გლობუსზე ტრინადადის და ტობაგოს (არ დაიბნეთ, ერთი ქვეყანაა) მომძღები კაცი ჩვენში ერთი-ორი თუ იქნება. სამაგიეროდ, ფეხბურთის და მეტადრე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგებმა კარგად იციან, რომ ეს დუაიტ იორკის საშობლოა.

არა, მაინც რამდენს მიაღწია ამ კაცმა, სამშობლოს ხომ სახელი გაუთქვა, თავადაც მოიწყო ცხოვრება: საუკეთესო კლუბში თამაშობს, ჯიბეში 13 მილიონი გირვანქა უჩხრიალებს, ეზოში Ferrari 550 Maranello და ერთიც უახლესი მოდელის „მერსედესი“ უდგას. ამასთანავე, თუ ენდი კოულის მეუღლეს ვერწმუნებით — იორკი ჩემს ქმარზე ცუდ ზეგავლენას ახდენს, ქალებში დაძერება და ენდისაც ამისკენ აქეზებსო — ტობაგოელს სადარდებელი არაფერი უნდა ჰქონდეს.

ახლა ასეცაა, მაგრამ ცოტა ხნის წინ იორკს ერთი სურვილი ჰკლავდა და ღამე არ აძინებდა.



THE SUN

ეს იორკის „ფერარიაა“, ზემოთ კი მის საოცნებო სამთვალის ხედავთ

გსმენიათ რამე ავტომანქანაზე, რომელსაც Reliant Robin-ი ჰქვია? ვეჭვობ, რომ არა. თუნდაც იმიტომ, რომ მისი გამოშვება 65 წლის წინ შეწყვიტეს. ამ ძველისძველ მანქანაზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ვიტყვით, რომ საშინელი შესახედაობის ფურგონიანი ჯაბახანაა, მოტორის მოცულობა 850 კუბური სანტიმეტრი აქვს და ერთი გალონი ბენზინი (4.5 ლიტრი) დაახლოებით 120 კილომეტრის გასავლელად ჰყოფნის. ჰო, მთავარი დაგვავიწყდა: კონსტრუქტორის ბრძნული გადაწყვეტილებით, მხოლოდ სამი ბორბალი აქვს.

რაო, „ფერარისა“ და „მერსედესის“ პატრონ იორკს ეს ავტომანქანის კარიკატურა ხომ არ მოუნდომებიაო, დაეჭვებით იკითხავთ. დიახ, მართლაც ასეა.

აქ ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როგორ გაუჩნდა იორკს მისი ყოლის სურვილი. თავად ფეხბურთელს მოვუსმინოთ: „ინგლისში ახალი ჩამოსული ვარ. ეს ათი წლის წინ იყო და მაშინ „ასტონ ვილაში“ ვთამაშობდი. ჰოდა, მივსეირნობ ბირმინგების ქუჩებში, ქალაქს ვათვალიერებ. ერთგან, ქუჩაში გადასვლისას, რას ვხედავ — სამბორბლიანი მანქანა მოდის. ასეთი რამ გაგონილიც არ მქონდა. ვიფიქრე, მეოთხე ბორბალი უთოდ გზაში მოძვრა და მძღოლი ვერ ხვდება-მეთქი. ვდგევარ შუა ქუჩაში და ვანიშნებ — ბორბალი, ბორბალი დაგიკარგავს! მძღოლი ისე დაიბნა, რომ დამეჯახა. მაშინ იოლად გადავრჩი და Reliant-ის ყოლის სურვილიც მას მერე მაქვს.“

ისე აგიხდათ ყველა სურვილი, როგორც დუაიტ იორკს აუხდა — ბრანტვოდში, Reliant-ის ქარხანაში სპეციალურად ფეხბურთელისთვის 11 ათას გირვანქად ამ მანქანის ერთადერთი ეგზემპლარი დააშაადეს, რომელიც ყვითელი ფერისაა.

ახლა „მანჩესტერ იუნაიტედის“ საწვრთნელი ბაზის ავტოსადგომზე სხვათა ფერარებისა და მერსედესების გვერდით იორკის Robin-იც დაიკავებს ადგილს, რაკი სამსახურში სიარული სწორედ ამ მანქანით განუზრახავს.

ამ ვარსკვლავებს რას გაუგებ.

ქალს სტადიონზე რა უნდა?

ერთი-ორჯერ ვარ სტადიონზე ნამყოფი და შემინიშნავს, გულგაღეღილი კაცები ღრიალებენ და შიგადაშიგ უწმაწურ სიტყვებსაც ყვირიან, ქალები კი უფრო მშვიდად ადევნებენ თვალს ფეხბურთს და ცდილობენ, გემრიელი გინების გაგონებაზე მაინცდამაინც არ გაწითლდნენ.

შორეულ უელსში ყველაფერი პირიქით ყოფილა. დივიზიონებში ერთ-ერთს პრემიერ X ჰქვია. აქ სიტყვა პრემიერმა არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს მასში უძლიერესი უელსური გუნდები თამაშობენ. დაბალი დივიზიონია, რისი მაჩვენებელიცაა ასო X. პრემიერ X დივიზიონს ორი გამორჩეული გუნდი ჰყავს (ცხადია, უელსური მასშტაბით), „ბეთვზ სოსიალი“ და „მარშფილდ სენტ მელონსი“. ისინი პირველობისთვის იბრძვიან და წინა ტურში ბევრი რამ უნდა გაერკვეულიყო.

ტრიბუნები შეივსო, თამაში გახურდა. რომელიღაც წუთისთვის „ბეთვზი“ 4:1 იგებდა და ამ დროს ყოვლად წარმოუდგენელი (ქართული გაგებით) ამბავი მოხდა: მავანი ქალი გულშემატკივარი წამოხტა და ფეხბურთელებს ჟარგონზე ცუდი სიტყვები უძახა. ლიტერატურული ენით რომ ვთქვათ, ჰომოსექსუალისტებად და მამაკაცის სასქესო ორგანოებად მოიხსენია. შეურაცხმყოფელს ისე ხმამაღლა უღრიალია, რომ ფეხბურთელებმაც გაიგეს. ბეთვზელებს (უხამსი სიტყვებით სწორედ ისინი მოიხსენიენს) მაგინებლის ძებნა არ დაუწყიათ, ერთმა მათგანმა ტრიბუნებთან მიირბინა და კაც მაყურებელთა გასაგონად დასჭექა: თქვენს ცოლებს ასე და ასე ვუზამთო. ხალხმა ტრიბუნებიდან მოედანზე გადაინაცვლა და ჩხუბი ატყდა (ქართულად). „მარშფილდ სენტ მელონსის“ ფეხბურთელებმაც დაივიწყეს, რომ მათი გუნდი წმინდანის სახელს ატარებს და ჩხუბში ხალისით ჩაებნენ. თამაში, ცხადია, ჩაშალა.

ლიგის ოფიციალურ წარმომადგენელ პიტერ ასტონის თქმით, ამ შემთხვევაზე სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს და ორივე გუნდს დასჯის. „ბეთვზის“ მწვრთნელი რობერტ ელოუ კი გაოცებით იჩჩავს მხრებს: „რა, კიდევ ჩვენ ვართ დამნაშავენი?“

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასთან

ნიგერიელ ფორვარდ ვიკტორ იკპებას 80 ათასი მარკის გადახდა მოუწევს. დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელმა შარშან სექტემბერში პოლიციელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იკპება სამართალდამცავს საგზაო შემოწმების დროს შეელაპარაკა, რის გამოც დააკავეს კიდეც.

ბულგარეთის ჩემპიონ სოფიის „ლევსკის“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — დიმიტარ დიმიტროვი ლიუბო პეტროვიჩმა შეცვალა. „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილი თავკაცი სოფიურ კლუბს ადრეც ავარჯიშებდა, თუმცა შარშან დეკემბერში პოსტი დატოვა და ჩინეთში წავიდა სამუშაოდ, ახლა კი გადაწყვიტა, სამი წლით ისევ ყოფილი გუნდი ჩაბაროს. „ვიმედოვნებ, შეეჭრება გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევას შეძლებს“ — განაცხადა პეტროვიჩმა. „ლევსკი“ გათამაშებას ლიდერობს და თანაქალაქელ ცსკა-ს ორი ქულით უსწრებს.

იტალიის ნაკრების მეკარის, ფრანჩესკო ტოლდოს შეძენა „რომას“ სურს. ფაბიო კაპელო დედაქალაქელთა ამჟამინდელი კარის დარაჯის, ფრანჩესკო ანტონიოლის შეცვლას აპირებს. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ტოლდომ „ფიორენტინასთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა, თუმცა პრესა იუწყება, რომ უკეთეს კლუბში გადასვლა ჯერაც არ გადაუფიქრებია. ტოლდოს აგენტს „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსისთან კარგი ურთიერთობა ჰქონია, ამიტომ შესაძლოა მეკარემ კლუბი მალევე გამოიცვალოს. კიდევ ერთი სიახლე ფლორენციიდან: კლუბის ვეტერანმა მცველმა ალდო ფირიკანმა გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც სეზონის ბოლოსთვის შესაბამის კურსებს დაამთავრებს, ხელი მწვრთნელობას მოჰკიდოს.

ინგლისური „ჩელსის“ ახალშენაძენი, „პარმადან“ ლონდონში 5,6 მილიონ გირვანქად გადასული მარიო სტანიჩი ნატკენ მუხლს აშუშებს და, ალბათ, ერთ თვეს ვერ ითამაშებს. გარდა ამისა, რანიერის გუნდს გაურკვეველი ვადით რობერტო დი მატეოც დაკარგდება. მიჩეჩი ისევ და ისევ ტრავმაა. ახლა იტალიელი შვეიცარიაში მკურნალობს. იგი სწორედ იმ „სენტ გალენთან“ ერთი კვირის წინ გამართულ უეფას თასის მატჩში დაშავდა.

შოტლანდიური „სელტიკის“ ნახევარმცველი მორტენ ვიგჰორსტი თავის ტკივილს უჩივის და საავადმყოფოში გამოკვლევებს იტარებს. „ინფექციის ბრალია. მორტენი ჰოსპიტალში მანამდე დარჩება, სანამ სრულად არ გამოჯანმრთელდება“ — განაცხადა გლაზგოელთა პრესატაშემ. აღსანიშნავია, რომ ვიგჰორსტმა მუხლის ტრავმის გამო ცხრა თვე გაატარა და მინდორს მხოლოდ ახლა დაუბრუნდა. ისიც ვთქვათ, რომ დანიელი „სელტიკში“ 1995 წელს „დანდიდან“ გადავიდა, კარიერა კი „ლიუნგბიუში“ დაიწყო.

ძველ დიდებულ ლობის შორის დაგეგმილი აფრიკის თასის შესარჩევი მატჩი 8 ოქტომბერს არ გაიმართება. მიჩეჩი კოტ დივუარში შექმნილი არასტაბილური ვითარებაა. ქვეყანაში პრეზიდენტს ირჩევენ და 22 ოქტომბერს კანდიდატთა სიბოლოო სია უნდა გამოქვეყნდეს. მანამდე იქ ფეხბურთისთვის არავის ეცლება.

ირლანდიის ნაკრებში 85-ჯერ ნათამაშები სტივ სტონტონი მალე „ლივერპულს“ დატოვებს. 31 წლის მცველი მიხვდა, რომ გუნდში კრისტიან ციგესა და ჯიმი ტრაორეს მისვლის შემდეგ მისთვის ადგილი ველარ მოიძებნება და წასვლა გადაწყვიტა. „ლივერპულში“ 1998 წელს „ასტონ ვილადან“ გადასული ირლანდიელის სურვილს არც კლუბის ხელმძღვანელობა შეწინააღმდეგებია და იგი თავისუფალ ტრანსფერზე დააყენა.

ბრინჯაოს ლეგიონი დაბრუნდა

სიდნეის ოლიმპიადა ჩვენთვის გუშინ, დილის 6 საათზე დასრულდა: თბილისში საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ჩამოფრინდა

თბილისის აეროპორტს დილის ხუთ საათზე ხუთი სარბიელელი მიადგა. ბნელოდა, ხალხიც ცოტა იყო: „ოლიმპიური ლაინერი“ ექვსზე უნდა ჩამოფრენილიყო. შენობაში შესვლა პრობლემა გახდა, თუმც მცირეოდენ განმარტებათა შემდეგ პოლიციის ზღუდის გადალახვა მოვახერხეთ, სიცივეს თავი დავაღწიეთ და მოსაცდელში მოვგროვდით. ორი-სამი კოლეგაც მოსულიყო და ახლა ყოველი მცდელობა იქითკენ მივმართეთ, როგორმე საბაჟოს ზონაში შეგვეღწია, რათა ფოტორეპორტიორებს უფრო ფართო ჰორიზონტი გადაშლოდათ სამუშაოდ. ნახევარ საათზე მეტი გავიდა, არაფერი გამოდიოდა, საბაჟოს მოხელე გვიმტკიცებდა, რომ ჩვენი სურვილის ასრულების უფლება არ ჰქონდა, მერე ახალმოსულ მაღალჩინოსანთა შეტევაც მხნედ მოიგერია და დაგვადუმა. მოვლენათა განვითარებას დაველოდეთ. ამასობაში ხალხმა იმატა და სანამ თვითმფრინავი დაეშვებოდა, ას კაცზე მეტმა მოიყარა თავი. მალე ეს რაოდენობა გაორმაგდა. მარტო მუხრან ვახტანგაძეს ორი მიკროავტობუსით ჩამოუვიდნენ ნათესავები და ქომაგები ბათუმიდან. იყო აგრეთვე ყვავილები და დუდუკ-სალამურ-დოლ-გარმონით აღჭურვილი დასტა... ცნობილ პერსონათაგან ჩანდნენ: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ჯანო ბაგრატიონი, ოლიმპიური ჩემპიონები — ლევან თედიაშვილი და რაფაელ ჩიმიშკიანი, მერე თემურ ყაზარაშვილი შევნიშნეთ (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი).

მალე სიტუაცია ჟურნალისტთა სასიკეთოდ შეიცვალა. არ ვიცით, ვინ ვის რა უთხრა, მაგრამ საბაჟოს ზონაში დაგვიშვეს და საშუალება მოგვცეს, საკუთარი თვალით გვეხილა, როგორ გამოდიოდნენ ოლიმპიელები. ეს ამბავი ოციოდე წუთს გაგრძელდა, მერე ისევ გვითხრეს, გეყოთ მოლხენაო და უკან დაგვაბრუნეს.

საბაჟოს საზღვარი პირველად ძალოსანმა გიორგი ასანიძემ გადმოლახა. ადრე ჩამოსული პირველი ოლიმპიური ჯგუფისაგან ვიცოდით, რომ ის სიდნეიდან ვანო გრიქუროვთან ერთად პირდაპირ პოლონეთში უნდა გაფრენილიყო, მაგრამ გუშინწინ ვაჟი შესძენია და ამიტომ შეუცვლია გეგმები. ჟურნალისტთა პირველი ნადავლიც სწორედ ორგზის ბედნიერი ასანიძე გახდა: „რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ოლიმპიური ბრინჯაო არ არის ცოტა. თანაც, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ძალოსნობაში უამრავი ნიუანსია, რომელთა გარეშეც დიდი წარმატების მიღწევა ძნელია. ოქროს მედლის აღება ნამდვილად შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ეს სამომავლო სურვილია. თუმცა ოლიმპიადაზე პროგნოზების გაკეთება გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა ტურნირებზე. სიდნეიში დაკარგული შანსი ჩემს სპორტულ კარიერაში თავის კვალს დატოვებს, მაგრამ, ვიმეორებ, არც ბრინჯაოს მედალია ცუდი.

გოგიას და სარავას განზრახვა წამოსვლის წინა საღამოს გავიგე, მაგრამ გაშხელას რა აზრი ჰქონდა. სამუდამოდ არ დარჩებიან იქ, ცოტა ცხოვრებას აიწყობენ და ჩამოვლენ. რამდენადაც ვიცი, მოქალაქეობის შეცვლას არ აპირებენ.“

ასანიძის მერე მოკრივე ვლადიმერ ჭანტურია გამოჩნდა. კოვბოური ქუდი (ავსტრალიაში სხვებსაც რომ ძალიან შეყვარებიათ) მოიხადა, ცოტა ხნით ფოთიდან ჩამოსულებში ჩაიკარგა და მერე ჩვენთვისაც მოიცალა: „ვფიქრობ, კარგი შედეგით ჩამოვედი — გავხდი ოლიმპიური პრიზიორი. ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ. ეს დამოუკიდებელი ქართული კრივის პირველი ოლიმპიური მედალია. ოქროს ათენიდან ჩამოვიტან.

— ჩაგაევთან ბრძოლის მერე, ნახევარფინალში, იბრაგიმოვთან ძალიან ინერტულად მოქმედებდით...

— ამ დროს მედალი განაღდებული მქონდა. თანაც მომზადება მაკლდა. ეს რომ არა, ფინალშიც გავიდოდი.

— როგორ, იბრაგიმოვთან შეხვედრისას ფინალში გასვლაზე არ ფიქრობდით?

— კი, როგორ არა, მაგრამ მე მხოლოდ მზადების ერთი ეტაპი მქონდა გავლილი.

ამასობაში მოაჯირს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი მოადგა.

— როგორ შეაფასებთ საქართველოს დელეგაციის გამოსვლას ოლიმპიადაზე?

— ძალიან დიდი შედეგია. უბრალოდ, ცოტა ბედმა გვიღალატა. სამოთხ სპორტსმენთან დაკავშირებით, რომელთაც ოქროს მედლების მოპოვება შეეძლოთ, მაგრამ საამისოდ კიდევ სხვა რაღაცეებია საჭირო. ვაზაგაშვილი, კურტანიძე, ასანიძე, ჩაჩუა ოქროს მედლების რეალური კანდიდატები იყვნენ.

— ოლიმპიადაზე წასვლამდე გადადგომის თაობაზე განაცხადეთ.

— დღეს ამას მეკითხება ყველა. ის განცხადება ძალაშია და განვახორციელებ კიდეც. ასე რომ, თუ ვინმე ჩემი მტერია, გაიხაროს.

— სიდნეიში ოთხი ქართველი სპორტსმენის დარჩენაზე რას იტყვით?

— ეს ფაქტი სავსებით არ გვაღელვებს. ბიჭები იქ ლუკმაპურის საშოვნელად დარჩნენ და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ნურც ჟურნალისტები შექმნით ამაზე აჟიოტაჟს. ისინი დაახლოებით სამ თვეში ჩამოვლენ და ყველაფერი ნორმალურად იქნება. მანამდე ოჯახებს რაღაცით მიეხმარებიან. მგონი, ამაში ცუდი არაფერია.

ამასობაში გამოსასვლელს ოლიმპიელთა ძირითადი ჯგუფი მოადგა და რესპონდენტთა არჩევაზეც რიგი დადგა. რამაზ გურგენიძე (ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების მწვრთნელი): „გიორგი ასანიძე ფავორიტი იყო, ოქროს მედლისთვის საბრძოლველად ყოველმხრივ მომზადებული, მაგრამ პირველ მისვლაზე თავისი შესაძლებლობების რეალიზება ვერ მოახერხა და ეს ცდა გამოუყენებელი დარჩა. ამან ტაქტიკური ცვლილება მოითხოვა. 215 კილო გამარჯვების გარანტიას იძლეოდა. ამით გავრისკეთ კიდეც. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა

ელდარ კურტანიძე

გიორგი ასანიძე

ახლობლები, ქომაგები, მოკითხვა და სიხარული...

და გიორგი ბრინჯაოს მედალს დაჯერდა. ის მეტოქეებზე უკეთ იყო მომზადებული.

— ორ დარჩენილზე რას იტყვით?

— გოგიამ ხელი სერიოზულად იტკინა და ამიტომ შეწყვიტა გამოსვლა. იგი კარგა ხანს ვერ ივარჯიშებს. როგორც მითხრეს, ექვსი თვით დარჩენა გადაწყვიტა. იმკურნალებს და წაიმუშავებს კიდეც. მერე დაბრუნდება და ჩვეულებრივად განაგრძობს მზადებას მომავალი შეჯიბრებებისთვის.

რაც შეეხება სარავას, მას დარჩენის არანაირი საბაბი არ ჰქონდა. ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ალბათ ამ საკითხს ისევ მივუბრუნდებით.

— თქვენ როდის გაიგეთ მათი განზრახვა?

— მე სასტუმროში ვცხოვრობდი და არა ოლიმპიურ სოფელში. ამიტომ აეროპორტში მისვლამდე არაფერი ვიცოდი. იქ მითხრეს.

ზაზა თურმანიძე (თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „უკმაყოფილო ვარ. ჩემი გუნდიდან კურტანიძე ჩემპიონი უნდა გამხდარიყო და სხვებსაც უნდა აეღოთ მედლები.“

ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „შეგვეძლო, ჩემპიონიც გვყოლოდა... ჩაჩუა აუცილებლად იმსახურებდა ამას, მაგრამ, როგორც ყოველთვის, წაგვართვეს. ჩხაიძესაც მედლის აღების კარგი შანსი ჰქონდა.“

გენადი ჩხაიძე (V ადგილი): „მგონი, ჩაჩუას მერე ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მე მქონდა. ნამდვილად ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდი, მაგრამ ისე იოლად დავამარცხე ოლიმპიური ჩემპიონი ანჯეი ვრონსკი და თურქი ჰაგი ბასარი, რომ არავინ ელოდა. ამერიკელთან უნდა გამერისკა, მაგრამ საწინააღმდეგო მირჩიეს. საბოლოოდ ერთი ქულით წავაგე.

— თანაგუნდელები რომ რჩებოდნენ, თუ იცოდი?

— მაგ თემაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მგონი, მოულოდნელად გადაწყვიტეს ბიჭებმა.

— როგორ გგონია, კონტრაქტის გასაფორმებლად თუ სხვა მიზნით?

— ალბათ, კონტრაქტის გასაფორმებლად.

ემზარ ზენაიშვილი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი): „ჩვენი ფინანსური პირობების გათვალისწინებით ექვსი მედალი წარმატებული შედეგია. მით უფრო, ჩვენნაირი ქვეყნისთვის. თანაც მედლები სპორტის ხუთ სახეობაშია მოპოვებული. გაიზარდა მედალოსანთა გეოგრაფია, რაც ადასტურებს, რომ ქართული სპორტი ცოცხლობს.

სიდნეიში სამჯერ მეტი მედალია მოპოვებული, ვიდრე ატლანტაში. ამერიკული გაზეთის „USA TODAY“-ის ცნობით, მედლების რაოდენობის მიხედვით საქართველო 30-ე-33-ე ადგილებს იყოფს. ეს კარგი მაჩვენებელია, რომლითაც გავუსწარით ირანს, თურქეთს, ისლანდიას, ფინეთს, დანიას, ნორვეგიას... ვიმეორებ, აქ ლაპარაკია მედლების საერთო რაოდენობაზე და არა ხარისხზე.

ვფიქრობ, კარგად გამოვედით. ცხადია, სასურველი იყო, უფრო მაღალი ხარისხის მედლები აგვეღო, თუნდაც ერთი მაინც, მაგრამ ერთი ცნობილი უცხოელი სპორტული მოღვაწის თქმით, ოქროს მედალს სხვა რაღაცეებიც სჭირდება.

— ოლიმპიური კომიტეტის დევიზი — სიდნეიში უკეთ, ვიდრე ატლანტაში, გამართლდა. მომავალში რა იქნება?

— წინასწარ ვერ ვიტყვი, რომ ათენში მეტ მედალს ავიღებთ. მთავარია, ქართველი ხალხის ოცნება, დამოუკიდებელი გუნდით მოვიპოვოთ ოლიმპიური ოქროს მედალი, ასრულდეს. ამერიდან ჩვენი დევიზი იქნება — ათენში უკეთ, ვიდრე სიდნეიში არა მხოლოდ ხარისხის, არამედ რაოდენობის მიხედვითაც.

აკაკი ჩაჩუა გამოსვლისთანავე მიმლოცველთა უზარმაზარ არმიაში ჩაიკარგა. სასაუბროდ ძლივს მოვიხელთეთ, როცა ჭიქა შამპანური მიაწოდეს.

— მაინც ოლიმპიადაა... შეიძლებოდა, საერთოდ უმედლოდ დავრჩენილიყავი. ჩემპიონობის შანსიც იყო, მაგრამ... გული მწყდება, თუმცა ოლიმპიური მედალი ცოტა არ არის. მაინც კმაყოფილი ვარ.

ელდარ კურტანიძე შეგეცოდებოდათ. დანა პირს არ უხსნიდა და სახე ჩამოსტიროდა. ჩაწითლებული მარჯვენა თვალის გუგა ცხადყოფდა მურთაზალიევთან ჩატარებული ბრძოლის სიმძაფრესაც და სიბინძურესაც.

— არა ვარ კმაყოფილი ამ შედეგით. ცოტა ხანში არავის გაახსენდება, როგორ მომიგო მურთაზალიევმა, არც ის, როგორი ზეწოლა იყო რუსეთის მხრიდან. ამაზე მეტად ხალხს ოლიმპიური ჩემპიონი ამახსოვრდება. ვწუხვარ, გულშემატკივარი რომ ვერ გავახარე და დანაპირები ოლიმპიური ოქროს მედალი ვერ ჩამოვუტანე.

— რატომ არ გააპროტესტეთ ის შეხვედრა?

— აზრი არ ჰქონდა, იქ ისეთი სიტუაცია იყო.

— სამომავლოდ რას ფიქრობთ?

— გააჩნია, სპორტისადმი მიდგომა როგორი იქნება. თუმცა ეს სიტუაცია, რაც აეროპორტში დაგვხვდა, ამდენი ხალხი, მაძლევს იმედს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თუ ჩემში რამე რეზერვია, უფლება არა მაქვს, არ გამოვიყენო და ამ ხალხს ოლიმპიური ოქროს მედალი არ ჩამოვუტანო. ისე ვერ მოვისვენებ.

ფოტო ალექსანდრ ფოფოლაშვილის

გენადი ჩხაიძე

მუხრან ვახტანგაძე, „ბრინჯაოს სერიალის“ ყველაზე დიდი მოულოდნელობა, სულ ბოლოს გამოვიდა აეროპორტის შენობიდან და ვიდრე ბათუმიდან ორი მიკროავტობუსით მისი და ჩხაიძის დასახვედრად საგანგებოდ ჩამოსული ხალხი ომახიანი ყიჟინით ჰაერში ააბურთავებდა, ეს გვითხრა:

— შედეგით კმაყოფილი ვარ. ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსიც იყო, მაგრამ ახლა ეს სამომავლო ოცნებაა. ღვთის წყალობით, ამ სურვილს ავისრულებ.

მომზადებული კარგად ვიყავი და ეს მედალი დიდი მოულოდნელობა არ იყო. თუმცა არც ჩემი ის თანაგუნდელები იყვნენ ნაკლებ ფორმაში, რომლებიც უმედლოდ დარჩნენ. ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ პრიზიორი გავხდი.

სპორტსმენები მალე გარეთ გამოვიდნენ, სადაც ქომაგთა მეტი წილი შეყრილიყო. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ერთსულოვანი ოვაციები არ ყოფილა, რაც ვითარებას დიდად მოუხდებოდა. სპორტსმენები, უფრო კი მედალოსნები, ჟურნალისტებმა „დაინაწილეს“ და თავიანთი საქმე განაგრძეს. ხალხი ჯგუფებად დაიშალა, ხოლო ცოტა ხანში შეთხელება იწყო. მხიარულ განწყობას ლახვარი ჩასცა აეროპორტის შენობის მისადგომებთან ოლიმპიელთა შორის აღმოცენებულმა პირადი ხასიათის კონფლიქტმა, რომელმაც მრავალთა მცდელობის მიუხედავად, ბარე ნახევარ საათს გასტანა.

კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ ქალაქისკენ გამოვეშურეთ და მალე ინათა კიდეც. ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლით შეგვიძლია სიდნეის ოლიმპიადას წერტილი დავუსვათ. მისი შედეგები დამაიმედებელია, ატლანტის ოლიმპიადასთან შედარებით სამჯერ მეტი მედალი მოვიპოვეთ: მართალია, ყველა ბრინჯაოსი, მაგრამ თუ საჭირო ხელშეწყობა იქნება (პრემიების დროული გაცემა, მზადების სრული ციკლების ჩატარება), არ შეიძლება ამ წარმატებამ 2004 წელს უფრო სასურველი ფერხარისხის მედლები არ მოგვიტანოს.

ირაკლი თავაძე
დავით გულუა

ფოტო ალექსანდრ ფოფოლაშვილის

დამზვდურთაგან ყველაზე გახარებული, სეოულის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი (მარჯვნივ) და ფოთის სპორტის თავკაცი ოთარ ხომერიკი

ფოტო ალექსანდრ ფოფოლაშვილის

ვლადიმერ ჭანტურია

ფოტო ალექსანდრ ფოფოლაშვილის

მუხრან ვახტანგაძე

ფოტო დელეგაციის ფოტოლაბორატორიის

ნონა გაფრინდაშვილი



ფოტო დელეგაციის ფოტოლაბორატორიის

ქართველი ოლიმპიელი ჟურნალისტები: დელეგაციის პრესატაში ელგუჯა ბერიშვილი და საქართველოს ტელევიზიის პირველარხელი თამარ ბალავაძე

ფოტო ალექსანდრ ფოფოლაშვილის

შენ დაუკა, შენ გადაიღე! ახალი ყაიდის ქართული ანსამბლი: დოლი, ზურნა, ვიდეო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორაჩის თასი. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

ბკ გროდნო 71:55 მაკაბი

4 ოქტომბერი. გროდნო. „ვიქტორია“. 1 100 მაყურებელი. | ტაიმი 33:21

გროდნო: ჟარმუხამედოვი (12), პინტიკოვი (16), ვასილევკო (2), კვაშრუკი (15), საფრონოვი (4); კლემეზი (10), კორშუკი (7), კრიშჩიკი (5), ბესმერტნი, პრიიმა

მაკაბი: დ. ბერიშვილი (12), წოწელია (6), ტალაბაძე (16), ტუჯანი (10), ფერიაშვილი (4); შანიძე (3), დაჩუმი (2), ნოზაძე (2)

მსაჯები: ტ. კუდლიცკი (პოლონეთი); ა. ბერკონსი (ლატვია)

გროდნო ვარჯიშით კმაყოფილია

ვლადიმერ ხილგანოვიჩი
„პრესბოლი“, გროდნოდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

კორაჩის თასის პირველი შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩი „ბკ გროდნო 93“-სა და თბილისის „მაკაბის“ შორის სასიამოვნო საცქერი არ გამოდგა. სამაგიეროდ, „ვიქტორიას“ სპორტკომპლექსში შეკრებილმა მაყურებელმა ვაჟკაცური ბრძოლა იხილა.

თბილისელებმა, ჩანს, მალე დაივიწყეს პირველ მატჩში დიდი ანგარიშით მარცხი, ფსიქოლოგიური ტვირთი მოიშორეს და გროდნოში აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდად მოგვევლინნენ. „მაკაბიმ“ დაცვაში კარგად იმუშავა, ამის გამო იყო, რომ „გროდნოს“ ბომბარდირმა კვაშრუკმა ძველებურად ფრთები ვეღარ გაშალა. ფარქვეშ ინერტული იყო მასპინძელთა ცენტრი საფრონოვი, რომლის წინააღმდეგაც თბილისელთა დონ კიხოტის გარეგნობის მქონე ცენტრი, ალექსანდრე ფერიაშვილი მოქმედებდა.

„გროდნოს“ მწვრთნელმა თბილისურ მატჩთან შედარებით ორი ცვლილება მოახდინა — სასტარტო ხუთეულში კლემეზის ნაცვლად პინტიკოვი დაყენა, ხოლო კაჩანი საერთოდ არ შეიყვანა განაცხადში და თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა პრიიმას მისცა.

გროდნოელებმა თავდაჯერებულად დაიწყეს თამაში. ისინი მაშინაც არ აღელდნენ, როცა თბილისელთა ტანმორჩილმა სნაიპერმა დავით ბერიშვილმა პირველი პერიოდის შუაწელში სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 9:6 დაწინაურა. თავი გამოიჩინა დავით ტალაბაძემ — საწყის წუთებში ხუთი საჯარიმო გამოიყენა.

მეორე მეოთხედში „გროდნო“ პერსონალურ დაცვაზე გადავიდა და მეტოქეს პრობლემები შეუქმნა. მაკაბელებმა დაახლოებით რვა წუთი ქულაც კი ვერ აიღეს. მასპინძლებს უკეთ რომ ესროლათ, ანგარიშში სხვაობა გაცილებით გაიზრდებოდა, მაგრამ კორშუკმა და კრიშჩიკმა ვერ ივარგეს, ხოლო ბესმერტნი და პრიიმა საერთოდ ამოვარდნენ მატჩის რიტმიდან. ერთადერთი ჟარმუხამედოვი ყოჩაღობდა, რომლის წყალობითაც „გროდნომ“ 14:5 მოიგო მეორე მეოთხედი და შესვენებაზეც თორმეტქულიანი უპირატესობით წავიდა — 33:21.

ტაიმის ბოლოს ტრავმა მიიღო დავით ბერიშვილმა. ყველას ეგონა, რომ ლიდერგამოკლებული თბილისელები შესვენების შემდეგ მთლად დათმობდნენ ინიციატივას, მაგრამ ასე არ მოხდა. შესანიშნავად ითამაშა ტალაბაძემ და მესამე მეოთხედის შუაწელში „მაკაბი“ ორ ქულასღა აგებდა — 44:46.

„გროდნოს“ მწვრთნელმა ალექსანდრ ბორისოვმა დროულად მიიღო ზომები. რამდენიმე შეცვლა გააკეთა და შეგირდებს სწრაფად თამაში მოთხოვა. ამან მალე გამოიღო შედეგი — პინტიკოვმა და კლემეზმა, როგორც იქნა, ჩაგდება დაიწყეს, ხოლო თბილისელებმა ტემპს ვეღარ გაუძლეს და საბოლოოდ თექვსმეტი ქულით დამარცხდნენ.

მატჩის შემდეგ

ალექსანდრ ბორისოვი („ბკ გროდნო 93“-ის მთავარი მწვრთნელი): „რაც მთავარია, მოვიგეთ და მომდევნო წრეში გავედით. ორივე გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა და მცირე ანგარიში ამითაა განპირობებული. შეტევაში სათანადოდ ვერ ვითამაშეთ, უკეთ უნდა გავრჯილიყავით, მაგრამ ამასაც აქვს ობიექტური მიზეზი — ჩემს მოთამაშეებს მოტივაცია არ ჰქონდათ. ამ შეხვედრას მომავალი წრის მატჩებისთვის მოსამზადებლად განვიხილავდით. ამ მხრივ კი კმაყოფილი ვარ“.

ჯამლეტ ხუსაშვილი („მაკაბის“ მთავარი მწვრთნელი): „ჩვენთვის ეს პრესტიჟის მატჩი იყო. შედეგით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ, სამაგიეროდ დაცვაში ურიგოდ არ გვითამაშია. წარმატებას ვუსურვებ „გროდნოს“ მეორე წრეში, ირკუტსკის „შახტიორის“ წინააღმდეგ“.

მაკაბელი ალექსანდრ ფერიაშვილი (ბურთით) და რომან საფრონოვი ერთმანეთს გროდნოშიც დაუპირისპირდნენ

ფოტო ფილიპეს ფილიპოვიჩისგან

კორაჩის თასი. I შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

4 ოქტომბერი

სლოვანი წინ, ცქიტო — შინ

კაპფენბერგი (ავსტრია) — სლოვანი (სლოვენია) 5:85

სლოვანი: ბოისა (10), გრბეშიჩი (14), კოკალი (9), კოვაჩი (9), ლაკოვიჩი (6), მარავიჩი (8), ნოვაკი (10), პავიჩი (8), უგრეხელიძე (7), ფაკელი (4)

ანგარიშიც ყველაფერზე მეტყველებს. შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ავსტრიული „კაპფენბერგი“ არ გახლდათ ის გუნდი, რომელიც ბოისას, უგრეხელიძისა და ცქიტიშვილის „სლოვანს“ კორაჩის თასის შემდგომ ეტაპზე გამავალ გზას გადაუღობავდა. სტუმრად ერთიორად დამაჯერებლად ითამაშა „სლოვანმა“, მეტოქე უკლებლივ ყველა კომპონენტში დაჩაგრა და ახლა, მეორე ეტაპზე, იტალიურ „ტრიესტთან“ დაიჭერს საქმეს.

ჩვენებურთაგან მხოლოდ ბოისამ და უგრეხელიძემ დაიდეს წილი „კაპფენბერგის“ დამარცხებაში. მესამე ქართველი, ნიკა ცქიტიშვილი არც გასულა მოედანზე, მეტიც, იგი საერთოდ არ გაჰყოლია „სლოვანს“ ავსტრიაში. ამიტომ გუშინ ვლადიმერ ბოისას რომ დავუკავშირდით, მილოცვის შემდეგ ცქიტოს უთამაშებლობის მიზეზი გამოვკითხეთ.

„ნიკას პასპორტში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, რათა მისთვის ავსტრიის ვიზა ჩაერტყათ. ამიტომ ცქიტიშვილს ლიუბლიანაში მოუწია დარჩენა. ახლაც სწორედ მაგ საკითხებს აგვარებს ცქიტო და მალე, ალბათ, ახალ პასპორტს აიღებს“ — გვითხრა ბოისამ.

მისივე მონათხრობიდან შევიტყვეთ, რომ „სლოვანს“ თურმე ერთ ლუკმად არ ეყო „კაპფენბერგი“. თამაში მხოლოდ საწყისი ხუთი წუთი მიდიოდა თანაბრად, შემდეგ კი უპირატესობა სლოვენიელებს უგდიათ ხელთ. „თავისუფლად შეგვეძლო, 50 და მეტი ქულით დაგვემარცხებინა მეტოქე, მაგრამ თავი ჩვენც აღარ მოგვიკლავს“ — ესეც ბოისას სიტყვებია.

„სლოვანის“ მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი კმაყოფილი დარჩენილა თავისი შეგირდების თამაშით, ბიჭები შეუქია და უთქვამს, ჩვენი წარმატება დაცვაში კარგმა თამაშმა განაპირობაო. სლოვენიური მატჩის მსგავსად, „სლოვანს“ ავსტრიაშიც ზონური დაცვისთვის მიუმართავს, თუმც საშინაო შეხვედრაში დაშვებული შეცდომები აღარ გაუმეორებია. „სამჯერ ვუყურეთ პირველი შეხვედრის ჩანაწერს, ზედმიწევნით გავაანალიზეთ ჩვენი შეცდომები, ყოველივემ კი ნაყოფი გამოიღო“ — ამბობს ბოისა.

რაც შეეხება მომდევნო ეტაპის შეხვედრებს იტალიურ „ტრიესტთან“, ბოისა პესიმისტურადაა განწყობილი, ამ გუნდთან ძალიან ცოტა შანსი გვაქვსო: „სულ ახლახან ტურნირი გაიმართა იტალიაში, სადაც ძალიან ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი — „რეალი“, „ბენეტონი“, „ოლიმპია“... „ტრიესტი“ მეორე ადგილზე გავიდა, ფინალი მცირე სხვაობით დათმო „ოლიმპიაკოსთან“. აქედანაც ჩანს, რომ ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვექნება საქმე. ჩვენ, ცხადია, ყველაფერს გავაკეთებთ მოსაგებად, მაგრამ მეეჭვება, ეს ბარიერიც გადავლახოთ“.

გიორგი ბიკაშვილი

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23

საქართველოს გუნდები ევროთასებზე

2000-2001

კორაჩის თასი

მაკაბი (თბილისი) — გროდნო 93 (ბელარუსი)	79:101
გროდნო 93 (ბელარუსი) — მაკაბი (თბილისი)	71:55

1999-2000

კორაჩის თასი

აზოტი (რუსთავი) — ბკ კიევი (უკრაინა)	74:100
ბკ კიევი (უკრაინა) — აზოტი (რუსთავი)	90:72

1998-1999

კორაჩის თასი

აზოტი (რუსთავი) — შახტიორი (უკრაინა)	92:93
შახტიორი (უკრაინა) — აზოტი (რუსთავი)	110:87

1997-1998

კორაჩის თასი

აზოტი (რუსთავი) — ესტონიან ფაიერსი (ესტონეთი)	81:75
ესტონიან ფაიერსი (ესტონეთი) — აზოტი (რუსთავი)	90:67

1996-1997

ევროპის თასი

ვითა (თბილისი) — კიორმენდი (უნგრეთი)	72:71
ვითა (თბილისი) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი)	78:87
ვითა (თბილისი) — რიელო (იტალია)	73:104
ტელეკომი (თურქეთი) — ვითა (თბილისი)	92:80
ვითა (თბილისი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)	104:86
კიორმენდი (უნგრეთი) — ვითა (თბილისი)	97:78
ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — ვითა (თბილისი)	72:60
რიელო (იტალია) — ვითა (თბილისი)	92:66
ვითა (თბილისი) — ტელეკომი (თურქეთი)	62:69
ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ვითა (თბილისი)	93:56

კორაჩის თასი

დინამო (თბილისი) — პალანგა (ლიტვა)	73:80
პალანგა (ლიტვა) — დინამო (თბილისი)	79:60

1995-1996

ჩემპიონთა თასი

ვითა (თბილისი) — ჟალგირისი (ლიტვა)	70:78
ჟალგირისი (ლიტვა) — ვითა (თბილისი)	100:69

1994-1995

ჩემპიონთა თასი

ვითა (თბილისი) — ბროცენი (ლატვია)	80:88
ბროცენი (ლატვია) — ვითა (თბილისი)	100:95

კორაჩის თასი

თბილისი (თბილისი) — სტატიბა (ლიტვა)	85:110
სტატიბა (ლიტვა) — თბილისი (თბილისი)	94:92
კაქტუსი (თბილისი) — ცსკ ვვს (რუსეთი)	81:62
ცსკ ვვს (რუსეთი) — კაქტუსი (თბილისი)	116:89
მერანი (თბილისი) — ბიპა მოდა (უკრაინა)	73:100
ბიპა მოდა (უკრაინა) — მერანი (თბილისი)	94:76

1992-1993

ჩემპიონთა თასი

დინამო (თბილისი) — შლიონსკი (პოლონეთი)	85:124
შლიონსკი (პოლონეთი) — დინამო (თბილისი)	113:95

კორაჩის თასი

ფენერბაჰჩე (თურქეთი) — მერანი (თბილისი)	108:78
მერანი (თბილისი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)	68:103
შევარდენი (თბილისი) — სოლნოკი (უნგრეთი)	65:118
სოლნოკი (უნგრეთი) — შევარდენი (თბილისი)	101:65

სულ: 38 მატჩი, 4 მოგება, 32 წაგება

სტოქტონი დროს ამარცხებს

უბერებელი რომაა, ეს თავად ჯონ სტოქტონმაც მშვენივრად იცის. ამიტომაც 38 წლის ვარსკვლავმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კარიერას ამ სეზონის შემდეგ არ დასრულებს. კითხვაზე, შემორჩა თუ არა საკმარისი ჯანი, სტოქტონმა უპასუხა: „თექვსმეტი წელი ვთამაშობ, მაგრამ თავს მაინც ახალგაზრდად ვგრძნობ და სწორედ ამან გამაბედინა ნბა-ში თუნდაც კიდევ ერთი წლით დარჩენა. ჩემი ასაკის მოთამაშეები ჩვეულებრივ კარიერას იმისთვის ამთავრებენ, რომ ოჯახთან მეტი დრო გაატარონ. უმეტესწილად ეს აჩქარებს სპორტსმენის კარიერის დასასრულს, ოღონდ არა ჩემს შემთხვევაში. ჩემებს უნდათ, რომ მე ბედნიერი ვიყო და ვიცი, ისინი გამიგებენ“.



ჯონ სტოქტონი

ამჟამად ვეტერანი, რომელსაც ხანდაზმულობისა არაფერი ეტყობა თავის „იუტა ჯაზთან“ ერთად მეზობელი აიდაჰოს შტატის ქალაქ ბოისში გადის საწვრთნელ შეკრებას და ეს განცხადებაც იქ გაკეთა. მისმა გადაწყვეტილებამ ბევრი გაახარა ძირძველი თანაგუნდელები, მათზე მეტად კი „ჯაზის“ მთავარი მწვრთნელი ჯერი სლოუნი. „ჯონმა შუა ზაფხულში დამირეკა და მითხრა, მზად ვარ, ერთი წლის შემდეგ წავიდეო, მაგრამ ახლა, ჩვენდა სასიკეთოდ, გადაწყვეტილება შეცვალა. მიუხედავად ასაკისა, იგი სრულიად ჯანმრთელია და ეს არცაა გასაკვირი. იგი ზომ ჯონ სტოქტონია“ — ამბობს სლოუნი. სხვათა შორის, სტოქტონს არ უთქვამს, რომ მაინცდამაინც „იუტაში“ დარჩება. მის ორწლიან და 22-მილიონიან კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში გაუდის ვადა. ისე, რაღა ახლა უნდა გაშორდეს სტოქტონი გუნდს, სადაც 16 წელი გაატარა?

კორაჩის თასი. I შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები

3-4 ოქტომბერი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

სპარტა (ჩეხეთი) — *ვურცბურგი (გერმანია)* 59:71 (51:90)
გისენი (გერმანია) — *პროკომი (პოლონეთი)* 85:74 (65:77)
მლეკარნა (ჩეხეთი) — *ობერვარტი (ავსტრია)* 82:95 (87:88)
პოგონი (პოლონეთი) — *სოლნოკი (უნგრეთი)* 95:70 (68:110)
გროდნო (ბელარუსი) — მაკაბი (თბილისი, საქართველო) 71:55 (101:79)
იამბოლგაზი (ბულგარეთი) — კუმანოვო (მაკედონია) 104:78 (82:80)
ნიკოლ ფერტი (მაკედონია) — *სლობოდა დიტა (ბოსნია)* 66:61 (60:81)
ბროტნიო (ბოსნია) — *რიეკა (ხორვატია)* 71:88 (79:84)
პაო (კვიპროსი) — *არადი (რუმინეთი)* 83:92 (65:93)
ლევსკი (ბულგარეთი) — ატლეტიკი (კვიპროსი) 94:90 (84:79)
შიროკი (ბოსნია) — პიტეშტი (რუმინეთი) 118:66 (91:64)
იგოკეა (ბოსნია) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 77:70 (71:63)
ბინგოლი (ბელგია) — კონტერნი (ლუქსემბურგი) 113:73 (79:76)
ფრიბურგი (შვეიცარია) — ტიტანო (სან მარინო) 106:86 (86:80)
ამიგოსი (პორტუგალია) — ჰამერზი (ჰოლანდია) 84:74 (68:67)
ჰერცოგტელი (გერმანია) — რასინგი (ლუქსემბურგი) 89:78 (90:93)
მონსი (ბელგია) — სეიშალი (პორტუგალია) 67:50 (70:83)
ატლონი (ბელგია) — დონარი (ჰოლანდია) 76:72 (88:70)
რივიერა (შვეიცარია) — *ტელეკომი (პორტუგალია)* 73:93 (79:91)
კაპფენბერგი (ავსტრია) — *სლოვანი (სლოვენია)* 51:85 (79:89)
ატომერომუ (უნგრეთი) — ტრიგლავი (სლოვენია) 94:65 (84:75)
ოლიმპიკი (შვეიცარია) — ეცელა (ლუქსემბურგი) 97:64 (95:76)

დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მომდევნო ეტაპზე.

II შესარჩევი ეტაპი

18 და 25 ოქტომბერი

ვურცბურგი (გერმანია) — პეკაესი (პოლონეთი)
ოპავა (ჩეხეთი) — სავინსკი (სლოვენია)
პროკომი (პოლონეთი) — ობერვარტი (ავსტრია)
სოლნოკი (უნგრეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია)
ოკაპი (ბელგია) — რიკო (ჰოლანდია)
ცსკა (ბულგარეთი) — ავტოდორი (რუსეთი)
შახტიორი (რუსეთი) — გროდნო (ბელარუსი)
ხიმკი (რუსეთი) — სუნდსვალი (შვედეთი)
კოუვოტი (ფინეთი) — სპარტაკი (რუსეთი)
ლოკომოტივი (რუსეთი) — სედერტელიე (შვედეთი)
ჰემოფარმი (იუგოსლავია) — აპოლონი (კვიპროსი)
მზტ (მაკედონია) — ვოივოდნა (იუგოსლავია)
იამბოლგაზი (ბულგარეთი) — ჟელეზნიკი (იუგოსლავია)
სლობოდა დიტა (ბოსნია) — გალათასარაი (თურქეთი)
რიეკა (ხორვატია) — ტელეკომი (თურქეთი)
აქილეასი (კვიპროსი) — ნიარ ისტი (საბერძნეთი)
არადი (რუმინეთი) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი)
ლევსკი (ბულგარეთი) — ბენსტონი (ხორვატია)
დარუშაფაკა (თურქეთი) — შიროკი (ბოსნია)
იგოკეა (ბოსნია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ბინგოლი (ბელგია) — შოლე (საფრანგეთი)
ფრიბურგი (შვეიცარია) — დიჟონი (საფრანგეთი)
ლე მანი (საფრანგეთი) — ამიგოსი (პორტუგალია)
სტრასბური (საფრანგეთი) — ჰერცოგტელი (გერმანია)
კასერესი (ესპანეთი) — უნიაუ (პორტუგალია)
მონსი (ბელგია) — უნიკახა (ესპანეთი)
ატლონი (ბელგია) — ხირონა (ესპანეთი)
გრან კანარია (ესპანეთი) — ტელეკომი (პორტუგალია)
სლოვანი (სლოვენია) — ტრიესტი (იტალია)
ატომერომუ (უნგრეთი) — ვიოლა (იტალია)
მონტეკატინი (იტალია) — მიტელდოიჩერი (გერმანია)
იმოლა (იტალია) — ოლიმპიკი (შვეიცარია)

ლონგლის ნაკვნი სტეფანიას შანსია

ვლადიმერ სტეფანია

ახალ სეზონს ახალ გუნდში, „ნიუ იორკ ნიქსში“ ხვდება. მისი გუნდი კი, ისევე როგორც ყველა სხვა, ინტენსიურად ემზადება კარსმომდგარი ჩემპიონატისთვის. ნიუიორკელებს ბინა ჩარლსტონის უნივერსიტეტის საკალათბურთო დარბაზში დაუდვიათ. ალბათ, უცხო თვალს მოფარებიან.

მოგეხსენებათ, „ნიუ იორკი“ ცვლილებებით ხვდება ახალ სეზონს, სტეფანიას გარდა სხვაც ბევრი ახალწვეული ჰყავს. ასე რომ, ვოვას ახალ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად დიდი ჯაფა მოუწევს. სტეფანიას ანუ ცენტრის ამპლუაში გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯეფ ვან განდის ავსტრალიელი ლუკ ლონგლი შეუგულებია. იგი, ცხადია, მისი წინამორბედის და ადრე გუნდის თილისმის, პატრიკ იუინგის სრულფასოვანი შემცვლელი ვერაა, მაგრამ მწვრთნელს აქ არცთუ მრავალფეროვანი არჩევანი აქვს. სტეფანიას ერთობ გაუჭირდებოდა ამ 218-სანტიმეტრიანი დევკაცისთვის კონკურენციის გაწევა. და აი, რამდენიმე დღის წინ სიდნეიდან, მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარე ოლიმპიადიდან, სტეფანიასთვის სასიხარულო ახალი ამბავი მოვიდა, თუ შეიძლება ამას სასიხარულო ეწოდოს. ოლიმპიადაზე, საფრანგეთთან ნახევარფინალში, ლონგლიმ მუხლი დაიშავა. ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ კალათბურთელი რვაათი კვირის განმავლობაში თამაშს ვერ შეძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიელი კალათბურთელი არა მარტო საწვრთნელ შეკრებას, არამედ რეგულარული სეზონის დასაწყისსაც გამოტოვებს.

ამგვარად, ვლადიმერ სტეფანიას გაცილებით დიდი შანსი აქვს, ახალ დამრიგებელს თავი მოაწონოს, რადგან ლონგლის არყოფნაში, ცხადია, უფრო დიდხანს მოუწევს თამაში. ისე კი სტეფანიას ადგილს ძირითადად შეეცილებიან ტრევის ნაითი და მარკუს კემბი, სასტარტო ხუთეულშიც ეს უკანასკნელი მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებით თავდამსხმელი უფროა, ვიდრე ცენტრი. ისიც ვთქვათ, რომ ამ გაცვლამ, რომლის შედეგადაც ვოვა სტეფანიამ და მასთან ერთად კიდევ თერთმეტმა კალათბურთელმა შეიცვალა გუნდი, „ნიუ იორკს“ ბევრი არაფერი შემატა, პირიქით, ახლა ერთობ არათანაბრადაა დაკომპლექტებული. უკანა ხაზში მძლავრ კალათბურთელთა თავმოყრა შეიმჩნევა, ფარქვეშ კი გუნდს, რომელსაც მაღალი მიზნები დაუსახავს, რიგიანი თითქმის არავინა ჰყავს. არაა გამორიცხული, სანამ სეზონი დაიწყება, „ნიუ იორკმა“ ერთი გამოცდილი მეფარე აიყვანოს.

ისე, საწვრთნელი ბანაკები არცთუ უხიფათო რამაა, კალათბურთელები ხშირად იღებენ ტრავმას. არ გაუმართლა ფილადელფიელ ცენტრ მეტიუ გეიგერს და ნიუჯერსელ ახალბედა კენონ მარტინს.

ლუკ ლონგლი სიდნეში სერიოზულად დაშავდა

31 წლის გეიგერმა სავარჯიშო თამაშისას ფეხი ტონი კუკოჩს დაადგა, გადაიბრუნა და მუხლი მძიმედ დაიშავა. გეიგერი ხშირად ტრავმიანობს, იგი შარშანაც დაზიანებული ფეხით შეხვდა სეზონს. „ნიუ ჯერსის“ მიერ არჩეულმა დრაფტის პირველმა ნომერმა კენონ მარტინმა კი ვარჯიშზე კოჭი იტკინა.

სალამოს ბაზრის ამბები

ცოტაც და ახალი, 2000-01 წლების სეზონიც დაიწყება. გუნდები საგაისოდ ემზადებიან და თავისუფალ აგენტთა ბაზარზე შეუთვალიერებელი არავინ დარჩათ. თუმცა იქ აღარავინაა ისეთი, მის ხელში ჩასაგდებად რამდენიმე გუნდი ეცილებოდეს ერთმანეთს. ისე, გუნდებს ვარსკვლავების გარდა ის მოთამაშეებიც ხომ სჭირდებათ, რომლებიც შავ სამუშაოს შეასრულებენ.

ჩვენებური ვოვა სტეფანიას აწ ყოფილი გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი“ ბებერი ნიუიორკელი ცენტრის პატრიკ იუინგის ხელში ჩასაგდებად ერთბაშად შვიდ კალათბურთელს შეელია და ახლა მათ ნაცვლად სხვები უნდა აიყვანოს. გუშინწინ „ზებგერითებმა“ ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს ყოფილ ჩიკაგოელს, 206-სანტიმეტრიან თავდამსხმელ დიკი სიმპკინს. სიმპინი ნამდვილად არაა ვარსკვლავი, ამიტომაც „ჩიკაგომ“ კალთები არ დაახია, დარჩიო. სიმპკინსსაც „სიეტლი“ გამოეხმაურა. „სონიქსმა“ თითქმის ყველა მაღალ სათადარიგო გაასხვისა და ახლა სიმპკინსი თავდამსხმელ ვინ ბეიკერის შემცვლელად შეიგულა.

„მინესოტა ტიმბერვულვზს“ და მის თავდამსხმელ ჯო სმიტს ფარული, აკრძალული კონტრაქტი აღმოუჩინეს და ალბათ სანქციებსაც დაადებენ, მანამდე კი სმიტს კლუბთან ძველი კონტრაქტი გაუუქმდა და ახლა თავისუფალი აგენტია. დარჩება თუ არა ჯო სმიტი ძველ გუნდში, ეს ჯერ გაურკვეველია. „მინესოტამ“ კი ამგვარ სიტუაციაში დიდხანს ყოფნა არ ისურვა და სასწრაფოდ გამონახა სმიტის შემცვლელი. ეს ლაფონსო ელისი გახლავთ, ვისაც ბოლო ორი წელი „ატლანტა ჰოქსში“



ლაფონსო ელისი (მარჯვნივ) „მინესოტაში“ გადავიდა

გაუტარებია, ახლა კი თავისუფალი აგენტის სტატუსით „ტიმბერვულვზმა“ აიყვანა. ელისი სიმაღლით 203 სანტიმეტრია და ამპლუით თავდამსხმელი გახლავთ, თუმც ფრთის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია. „ატლანტაში“ მას კარგი დრო არ გაუტარებია, ბევრს ტრავმიანობდა და თუ ახლა ფორმაში ჩადგომა და ტრავმებისთვის თავის არიდება მოახერხა, „მინესოტა“ მისი სახით რიგიან კალათბურთელს შეიძენს.

ნბა-ს უბრუნდება ერთი წლით ევროპაში, კერძოდ კი იტალიაში გადახვეწილი გამთამაშებელი შონ რესპერტი. 188-სანტიმეტრიან გამთამაშებელს გაუმართლა, იგი ბოლო სეზონის ჩემპიონმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ აიყვანა. „ლეიკერსი“ რესპერტისთვის ნბა-ს მეხუთე გუნდია. მას მანამდე „მილუოკიში“, „დალასში“, „ტორონტოსა“ და „ფინიქსში“ უთამაშია. იგი მატჩში საშუალოდ 4,9 ქულას აკეთებდა ნბა-ში. იტალიაში მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 18,3 ქულა გახლდათ. რესპერტი სამიანებს ურიგოდ არ ესვრის და „ლეიკერსს“ გლენ რაისის წასვლის შემდეგ სწორედ ასეთი კაცი სჭირდება.

გარდა ამისა, „ლეიკერსმა“ შეინარჩუნა საკუთარი თავისუფალი აგენტი ბრაიან შოუ, რომელიც წინა სეზონში გუნდის ერთ-ერთი წამყვანი გამთამაშებელი გახლდათ.

„ტორონტო რეპტორზმა“ დიდხანს კი გააჯანჯლა, ოფიციალურად აეყვანა დრაფტის პირველ წრეში არჩეული მორის პეტერსონი, მაგრამ დაიწყო თუ არა საწვრთნელი ბანაკები, კალათბურთელს წინ დაუდო ოთხწლიანი და 2,93 მილიონიანი კონტრაქტი, რომელსაც პეტერსონმა დიდი სიამოვნებით მოაწერა ხელი. პეტერსონი რომ ნიჭიერი კალათბურთელია, ამას მისი სტუდენტური კარიერაც თვალნათლივ მოწმობს. ორიოდ თვის წინ მან და აწ „დეტროიტის“ წევრმა, მატინ კლივზმა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს სტუდენტური ჩემპიონატი მოაგებინეს.

მატებაა „ვაშინგტონშიც“. მაიკლ ჯორდანის გუნდმა „ვანკუვერიდან“ გადმოიბირა სამქულიანების ოსტატი დენის სკოტი. მართალია, სკოტი ის აღარაა, რაც ამ სამიოდ წლის წინ იყო, მაგრამ იქნებ მან ძველი ხელობა გაიხსენოს და სამქულიანების გუდას მოხსნას ჰირი. 1995-96 წლების სეზონში მან სულ 267 სამქულიანი ჩაუგდო მეტოქეს და ლიგის ყველა დროის რეკორდიც დაამყარა. იმ სეზონში მას თავისი გუნდისთვის („ორლანდოსთვის“). ყოველ თამაშში საშუალოდ 17 ქულა მოჰქონდა, „ვანკუვერში“ კი, სადაც ბოლო და თავისი ყველაზე ულიმღამო სეზონი გაატარა, მისი შედეგიანობა 5,6 ქულამდე დაეცა. სკოტს „ვანკუვერმა“ კიდევ სამი სრულიად უცნობი კალათბურთელი მოაყოლა და ამ ოთხი კაცის სანაცვლოდ ცენტრი აიზეკ ოსტინი მიიღო, რომლის კარიერაც ამჟამად ასევე არ განიცდის აღმავლობას.

სხვა გუნდები თუ იმას ცდილობენ, რიგები ახალი კალათბურთელებით შეიმატონ, „დალას მავერიქსი“ პირიქით, ძველების გაშვებითაა დაკავებული. კლუბმა ახლახან ვეტერანი თავდამსხმელი ტერი მილზი ისე დაითხოვა, რომ მას ერთ მატჩიც არ უთამაშია. იგი ხომ ამ ზაფხულს მოხვდა „მავერიქსში“, ამ გუნდისა და „დეტროიტს“ შორის შემდგარი გაცვლის შედეგად. გუნდის მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა დონ ნელსონმა ეს იმით ახსნა, რომ კალათბურთელმა გააპროტესტა ამ გუნდში გადმოსვლა. თუ აქაურობა არ მოგწონს, არც ჩვენ ვკარგავთ ჭკუას შენზე, ასე რომ, ოთხივ მხრივ გზა დაგვილოციაო — უთხრეს მილზს და კარი ცხვირწინ მიუჯახუნეს.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. I დივიზიონი. მე-11 ტური

		6 ოქტომბერი			
23.45	002	ჯილინგემი-ბოლტონი	2,9	3,0	2,3
23.45	003	ჰადერსფილდი-ბარნსლი	2,3	3,2	2,7
23.45	004	ტრანმერი-ბარნლი	1,9	3,0	3,8
		8 ოქტომბერი			
19.00	005	ქრიუ-ბირმინგემი	3,4	3,1	2,0
19.00	006	უენსდი-ვესტ ბრომვიჩი	2,3	3,1	2,8
19.00	007	სტოკპორტი-პორტსმუთი	2,2	2,9	3,2

ინგლისი. II დივიზიონი. მე-11 ტური

		6 ოქტომბერი			
23.45	008	ბრისტოლი-ბორნმუთი	1,65	3,2	5,0
23.45	009	ბერი-როვერსი	1,9	2,9	4,0
23.45	010	კოლჩესტერი-უოლსოლი	3,4	3,1	2,0
23.45	011	უიგანი-რედინგი	1,8	3,1	4,0
23.45	012	უიკომბი-ნოტსი	1,6	3,5	4,7
		8 ოქტომბერი			
16.00	013	ლუტონი-მილუოლი	3,0	3,1	2,2
17.00	014	როტერჰემი-ოლდემი	1,5	3,6	5,6
18.00	015	სუინდონი-ოქსფორდი	1,5	3,8	5,3
19.00	016	პიტერბრო-პორტ ვეილი	2,0	3,0	3,5

ინგლისი. III დივიზიონი. მე-11 ტური

		6 ოქტომბერი			
23.30	017	ჩელტენემი-კარლაისლი	1,4	3,8	7,0
	018	ჩელტენემი-კარლაისლი 0:1	2,0	3,0	2,4
23.45	019	ჰალი-ბრაიტონი	2,5	3,0	2,5
23.45	020	კიდერმინსტერი-როხდეილი	2,3	3,1	2,8
23.45	021	შრიუსბერი-ექსეტერი	2,2	3,0	3,1
23.45	022	იორკი-მენსფილდი	2,2	3,0	3,1
		7 ოქტომბერი			
16.30	023	ჩესტერფილდი-პლიმუთი	1,35	4,0	7,5
	024	ჩესტერფილდი-პლიმუთი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	025	ჰარტლპული-დარლინგტონი	2,5	3,0	2,5
19.00	026	სკანთორპი-ჰალიფაქსი	1,5	3,6	5,6
		8 ოქტომბერი			
19.00	027	ბარნეტი-მაკლსფილდი	1,7	3,1	4,7
19.00	028	ბლეკპული-საუთენდი	2,2	3,1	3,0
19.00	029	ტორკი-ლეიტონი	2,5	3,0	2,5

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-13 ტური

		6 ოქტომბერი			
23.00	030	აიაჩო-ნანსი	3,2	2,7	2,3
23.00	031	სოშო-ვასკეალი	1,25	5,0	9,0
	032	სოშო-ვასკეალი 0:1	1,7	3,2	3,2
23.30	033	მონპელიე-ლორიანი	1,65	3,0	5,6
		7 ოქტომბერი			
23.00	034	ანჟე-გუნიონი	1,9	2,7	4,4
23.00	035	კაენი-ბოვუა	1,65	2,8	6,5
23.00	036	კანი-ლავალი	3,0	2,7	2,4
23.00	037	შატორუ-ნიცა	1,8	2,7	5,0
23.00	038	ლე მანი-ლე ავრი	2,5	2,6	2,9
23.00	039	მარტიგი-კრეტეი	1,9	2,7	4,4
23.00	040	ნიორი-ნიმი	1,75	2,7	5,3

იტალია. სერია ბ. მე-6 ტური

		6 ოქტომბერი			
23.45	041	პიაჩენცა-კალიარი	2,0	2,7	4,0
		8 ოქტომბერი			
18.00	042	კიევო-ჩიტადელა	1,6	2,8	7,5
18.00	043	კოზენცა-ანკონა	1,65	2,8	6,5
18.00	044	მონცა-ტორინო	2,5	2,6	2,9
18.00	045	პესკარა-რავენა	2,0	2,7	4,0
18.00	046	პისტოიეზე-ტრევიზო	1,9	2,7	4,4
18.00	047	სალერნიტანა-სიენა	2,0	2,6	4,2
18.00	048	სამპდორია-ემპოლი	1,5	3,2	7,5
18.00	049	ვენეცია-კროტონე	1,3	4,4	8,0
	050	ვენეცია-კროტონე 0:1	1,8	3,3	2,8
		9 ოქტომბერი			
23.45	051	ტერნანა-ჯენოა	1,8	2,7	5,0

იტალია. სერია ც1/ა. მე-6 ტური

		7-9 ოქტომბერი			
18.30	052	ალბინოლეფე-კარარეზე	1,65	2,8	6,5
18.30	053	ალძანო-ლუკეზე	1,7	2,7	6,0
18.30	054	არეცო-ვარეზე	2,4	2,5	3,2
18.30	055	ჩეზენა-ალესანდრია	1,35	3,8	8,0
	056	ჩეზენა-ალესანდრია 0:1	1,9	3,2	2,6
18.30	057	კომო-ლეკო	1,45	3,4	7,5
	058	კომო-ლეკო 0:1	2,0	3,2	2,3
18.30	059	ლუმეცანე-სპალ	2,3	2,5	3,4
18.30	060	პიზა-ბრეშელო	1,7	2,7	6,0
18.30	061	რეჯანა-ლივორნო	1,9	2,6	4,7
18.30	062	სპეცია-მოდენა	2,7	2,6	2,7

იტალია. სერია ც1/ბ. მე-6 ტური

		7-9 ოქტომბერი			
18.30	063	ასკოლი-კატანია	1,9	2,6	4,7
18.30	064	ატლეტიკო-ფერმანა	3,1	2,6	2,4
18.30	065	აკილა-ლოდიჯანი	1,75	2,7	5,3
18.30	066	მესინა-ფ.ანდრია	1,9	2,6	4,7
18.30	067	ნოჩერინა-ჯულიანოვა	1,6	2,9	7,0
18.30	068	პალერმო-ბენევენტო	1,55	3,0	7,5
18.30	069	ტორესი-აველინო	2,2	2,6	3,5
18.30	070	სავოია-ვიტერბეზე	1,4	3,4	7,5
	071	სავოია-ვიტერბეზე 0:1	2,0	3,0	2,4
18.30	072	პეზარო-დი სანგრო	1,9	2,5	5,0

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-6 ტური

		7-8 ოქტომბერი			
21.00	073	ბადახოსი-ელჩე	2,1	2,8	3,5
21.00	074	ატლეტიკო-ფეროლი	1,3	4,0	7,5
	075	ატლეტიკო-ფეროლი 0:1	1,9	3,2	2,6
21.00	076	კორდობა-ბეტისი	2,5	2,9	2,6
21.00	077	უნივერსიდადი-კომპოსტელა	2,4	2,9	2,8
21.00	078	ტენერიფე-ხაენი	1,9	3,0	3,8
21.00	079	ესტრემადურა-უელვა	1,7	2,9	5,3
21.00	080	ეიბარი-ლევანტე	2,2	2,9	3,2
21.00	081	მურსია-ხეტაფე	1,8	3,1	4,0
21.00	082	სალამანკა-სპორტინგი	2,0	3,0	3,5
21.00	083	სევილია-ალბასეტე	1,5	3,4	6,5
21.00	084	ლეიდა-ლეგანესი	2,1	3,0	3,3

ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

		7 ოქტომბერი			
22.00	085	ჰერაკლესი-ცვოლე	2,0	3,0	3,5
		8 ოქტომბერი			
17.30	086	ჰაარლემი-დენ ჰააგი	2,1	3,2	3,1
17.30	087	იგლსი-დენ ბოსხი	3,0	3,1	2,2

ბელგია. II დივიზიონი. მე-8 ტური

		8 ოქტომბერი			
18.00	088	ტინენი-ლომელი	3,1	3,0	2,2
18.00	089	ჰეკელგემი-დაინცე	2,0	3,0	3,5
18.00	090	დესელი-მაასლანდი	1,6	3,3	5,3
18.00	091	ტურნჰაუტი-მოლენბეკი	1,9	3,1	3,6
18.00	092	ინგელმუნსტერი-ჰეუსდენი	1,5	3,5	6,0
18.00	093	სტრომბეკი-სერკლი	2,4	3,0	2,7
18.00	094	გეელი-რუზელარე	1,25	5,0	9,0
	095	გეელი-რუზელარე 0:1	1,7	3,2	3,2
18.00	096	ოსტენდე-მონსი	2,4	3,0	2,7
18.00	097	დენდერლეუ-ლიეჟი	1,6	3,4	5,0

ამხანაგური მატჩი

		7 ოქტომბერი			
20.00	502	სამხრეთ აფრიკა-საფრანგეთი	3,8	3,1	1,8

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

		7 ოქტომბერი			
17.00	503	სომხეთი-უკრაინა	6,0	3,5	1,45
19.00	504	ინგლისი-გერმანია	1,9	2,9	4,0
19.00	505	ანდორა-ესტონეთი	5,0	3,2	1,6
19.00	506	ჩრდ.ირლანდია-დანია	3,4	2,9	2,1
19.00	507	შვედეთი-თურქეთი	1,75	3,0	4,4
19.00	508	უელსი-ნორვეგია	4,4	3,0	1,75
20.00	509	ჩეხეთი-ისლანდია	1,2	5,6	10,0
	510	ჩეხეთი-ისლანდია 0:1	1,5	3,5	3,5
20.00	511	მოლდოვა-სლოვაკეთი	3,6	3,1	1,9
20.15	512	შვეიცარია-ფარერები	1,05	9,0	18,0
	513	შვეიცარია-ფარერები 0:3	1,8	4,4	2,2
20.30	514	ბულგარეთი-მალტა	1,05	9,0	18,0
20.30	515	ბულგარეთი-მალტა 0:3	1,8	4,4	2,2
21.00	516	ლიტვა-საქართველო	ანგარიში - 5,0		
22.00	517	საბერძნეთი-ფინეთი	1,55	3,1	6,0
22.15	518	ლუქსემბურგი-სლოვენია	10,0	5,6	1,15
22.30	519	კვიპროსი-ჰოლანდია	7,5	4,0	1,3
22.45	520	სან მარინო-შოტლანდია	20,0	8,0	1,03
23.00	522	მაკედონია-აზერბაიჯანი	1,25	5,0	9,0
	523	მაკედონია-აზერბაიჯანი 0:1	1,7	3,2	3,2
23.00	524	პოლონეთი-ბელარუსი	1,25	5,0	9,0
	525	პოლონეთი-ბელარუსი 0:1	1,7	3,2	3,2

23.15	526	ლატვია-ბელგია		4,2	3,0	1,8
23.30	527	ლიხტენშტაინი-ავსტრია		20,0*	8,0	1,03
23.45	528	იტალია-რუმინეთი		1,4	3,8	7,0
	529	იტალია-რუმინეთი	0:1	2,0	3,0	2,4
00.30	530	ესპანეთი-ისრაელი		1,2	5,6	10,0
	531	ესპანეთი-ისრაელი	0:2	1,7	4,0	2,5
01.00	532	პორტუგალია-ირლანდია		1,5	3,4	6,5
04.00	533	კოლუმბია-პარაგვაი		1,6	3,1	6,0
		8 ოქტომბერი				
20.00	534	მექსიკა-ტრინიდადი		1,3	4,0	7,5
23.30	535	სენტ ვინსენტი-სალვადორი		5,0	4,0	1,4
24.00	536	ვენესუელა-ბრაზილია		12,0	6,0	1,1
24.00	537	ჰონდურასი-იამაიკა		2,0	2,0	3,5
01.00	538	ბოლივია-პერუ		1,9	2,9	4,0
02.00	539	ეკვადორი-ჩილე		2,2	2,9	3,2
04.00	540	არგენტინა-ურუგვაი		1,4	3,6	7,5
		9 ოქტომბერი				
24.00	541	კანადა-პანამა		1,3	4,0	7,5

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე

		6 ოქტომბერი				
17.00	542	კვიპროსი-ჰოლანდია		6,5	3,6	1,4
17.00	543	მაკედონია-აზერბაიჯანი		1,3	4,0	7,5
17.00	544	სომხეთი-უკრაინა		4,4	3,1	1,65
17.00	545	ლატვია-ბელგია		3,1	3,0	2,1
18.00	546	მოლდოვა-სლოვაკეთი		2,9	3,0	2,2
18.00	547	ლიტვა-საქართველო		ანგარიში - 5,0		
18.15	548	პოლონეთი-ბელარუსი		1,4	3,5	7,0
19.00	549	ბულგარეთი-მალტა		1,05	6,0	12,0
19.00	550	ჩეხეთი-ისლანდია		1,25	4,4	8,0
22.15	551	ლუქსემბურგი-სლოვენია		7,0	3,8	1,3
22.30	552	საბერძნეთი-ფინეთი		1,5	3,3	6,0
23.30	553	ჩრდ.ირლანდია-დანია		2,9	2,8	2,4
23.30	554	უელსი-ნორვეგია		4,0	3,0	1,8
23.30	555	საფრანგეთი-ავსტრია		1,3	4,0	7,5
23.30	556	ესპანეთი-ისრაელი		1,2	5,0	9,0
23.45	557	შვედეთი-თურქეთი		1,7	3,1	4,4
23.45	558	იტალია-რუმინეთი		1,5	3,3	6,0
23.45	559	ინგლისი-გერმანია		1,8	3,0	4,0
01.00	560	პორტუგალია-ირლანდია		1,55	3,2	5,0

ჰოკეი

		6 ოქტომბერი				
24.00	907	ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი		1,6	4,0	2,9
24.00	908	ნიუ ჯერსი-მონრეალი		1,25	4,0	5,0
24.00	909	ტამპა ბეი-აილენდერსი		1,9	4,0	2,2
24.00	910	ფლორიდა-ვანკუვერი		1,35	4,0	4,0
24.00	911	ედმონტონი-დეტროიტი		2,5	4,0	1,7
24.00	912	ანაჰაიმი-მინესოტა		1,3	4,0	4,0
24.00	913	სან ხოსე-სენტ ლუისი		2,2	4,0	1,9
24.00	914	პიტსბურგი-ნეშვილი		1,35	4,0	4,0
		7 ოქტომბერი				
24.00	915	ბუფალო-ლოს ანჯელესი		1,6	4,0	2,9
24.00	916	ტორონტო-მონრეალი		1,3	4,0	4,4
24.00	917	ოტავა-დალასი		2,0	4,0	2,1
24.00	918	ფილადელფია-ბოსტონი		1,3	4,0	4,4
24.00	919	კაროლინა-ვაშინგტონი		2,0	4,0	2,1
24.00	920	ატლანტა-რეინჯერსი		2,5	4,0	1,7
24.00	921	კოლუმბუსი-ჩიკაგო		2,2	4,0	1,8
24.00	922	ედმონტონი-კოლორადო		2,2	4,0	1,9
24.00	923	ფინიქსი-მინესოტა		1,2	4,0	5,0
24.00	924	პიტსბურგი-ნეშვილი		1,35	4,0	4,0
		8 ოქტომბერი				
24.00	925	ანაჰაიმი-სენტ ლუისი		2,1	4,0	2,0
24.00	926	ტამპა ბეი-ვანკუვერი		2,1	4,0	2,0
		9 ოქტომბერი				
24.00	927	ბოსტონი-ფლორიდა		2,0	4,0	2,1
24.00	928	კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი		2,4	4,0	1,7
24.00	929	ტორონტო-დალასი		1,8	4,0	2,3

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროთა მუშაობა

ბათუმსა და ქუთაისში

მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მივიდა, ნახა, დამარცხდა

ტოკიო. იაპონია. „პრინცესას თასი“. ჰარდი. საპრიზო 550 ათასი $

ტოკიოში მიმდინარე პრესტიჟულ ქალთა პირველობას „პრინცესას თასი“ ტყუილუბრალოდ არ ჰქვია — იაპონიის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები ჩოგბურთის დიდი გულშემატკივრები არიან და გასაკვირი ის არის, პრინცესას გარდა პრინცის, იმპერატორის და სხვა ამათი მსგავსების თასებიც რომ არ არსებობს.

ცისფერსისხლიანთა ყურადღების ნაკლებობას არც წლევანდელი ტურნირი უჩივის. ორიოდ დღის წინ მატჩების სანახავად პრინცი და პრინცესა აკიშინონომიები გამოცხადდნენ და ტოკიოში წყვილებში მოასპარეზე ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვას კომპანიაში კარგა ხანს დაყვეს.

„ორივენი სასიამოვნო ადამიანები არიან, ჩოგბურთის თამაშისა და ცქერის დიდი მოყვარულები. პრინცესას ათას რამეზე ვესაუბრე, აფრიკიდან დაწყებული, მოთამაშეთა კვებით დასრულებული“ — განაცხადა სამეფო ოჯახთან შეხვედრის თაობაზე ნავრატილოვამ.

მარტინას მეწყვილე ტოკიოში მასავით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონიკა სელეში. ჯერჯერობით ახლახან შექმნილ ერთჯერად დუეტს საქმეები კარგად მისდის — პირველ წრეში რიტა გრანდესა და მეგან შონესის აჯობეს 6:1, 7:6 (7:4).

იაპონიის მიწაზე თავისი პირველი მატჩი მოიგო ჩოგბურთის სამეფო — უილიამსთა საგვარეულოს უმცროსმა წარმომადგენელმაც. სერენამ, რომელიც ტურნირზე სელეშის კვალად მეორედაა განთესილი, ტაილანდელ ტამარინე ტანასუგარნს იოლად, 6:1, 6:4 აჯობა, პრესკონფერენციაზე კინაღამ ხველებისგან დაიხრჩო და ჟურნალისტებს სიდნეიდან წამოყოლილ გრიპზე მოუთხრო.

„ოლიმპიადაზე ანტისადოპინგო ტესტების შიშით ვერანაირ წამალს ვერ ვსვამდი, ვაითუ, მერე სინჯში რაიმე აღმოჩინათ. სიდნეიში ერთი კვირის განმავლობაში ვგრძნობდი თავს ცუდად და ბოლოს გრიპმა სერიოზულად დამრია ხელი. 10-ქულიანი სისტემით ამჟამად ჩემს ფიზიკურ კონდიციებს ხუთიანით თუ შევაფასებდი“.

ტოკიოში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. 17 წლის ნიჭიერმა ჩეხმა დაია ბედანოვამ, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ბოლო ხანებში ტრავმებით შეჭირვებულ და წარუმატებლად მოასპარეზე ამელი მორესმოს მოუგო 5:7, 6:3, 6:3.

ლესბოსელმა ფრანგმა მატჩის მეორე-მესამე სეტებში იმდენი შეცდომა დაუშვა, მთელ ტურნირს ეყოფოდა და, ოლიმპიადის არ იყოს, აქაც სასურველზე გაცილებით ადრე მოუხდა აბრგება.

„ასე შორს ტურნირზე არასოდეს გამიღწევია. იმ ჩოგბურთელებთან შეხვედრა და მათი დამარცხება, რომლებიც ადრე მხოლოდ ტელევიზორში მინახავს, დიდი სიამოვნებაა“ — არ დაიმორცხვა ბედანოვამ, რომელიც მეტად წარმატებული იუნიორული კარიერის შემდეგ ერთი წელიც არაა, რაც პროფესიონალებში გადაბარგდა.

მომავალ ვარსკვლავთა კიდევ ერთ ჯახში 17 წლის ავსტრალიელმა ელენა დოკიჩმა 16 წლის რუს ლინა კრასნარუცკაიას აჯობა 6:4, 7:6 (7:3).

მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა ისევ ერთად თამაშობენ

მერვედფინალი: მონიკა სელეში (1, აშშ) — მიროსლავა ვაგრინეცი (შვეიცარია) 6:4, 6:4; შული ალბარი (4, საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:3; ედი ფრეზერი (5, აშშ) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:0, 6:1; კრისტინა ბრანდი (6, აშშ) — ჯორნა მორარიუ (აშშ) 2:6, 7:5, 6:2; შინობუ ასაგოე (იაპონია) — აი სუგიამა (7, იაპონია) 6:3, 7:5.

ფილდერშტადტი. გერმანია. „პორშეს გრან პრი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 550 ათასი $

ანა კურნიკოვას ოთხწლიანი ჯვაროსნული ლაშქრობა კარიერის პირველი ტიტულის მოსაპოვებლად წმინდა მიწისგან ჯერაც შორს არის. ჩოგბურთის სექსსიმბოლოს, ტურნირზე გამარჯვებაზე რომ არაფერი ვთქვათ, აგერ უკვე წელიწადნახევარია, ფინალისთვისაც ვერ მიუღწევია.

ტრადიცია არც შტუტგარტის მახლობლად, პატარა საჩოგბურთო კლუბში მიმდინარე „პორშეს გრან პრიზე“ დარღვეულა — ანა მივიდა, ნახა და პირველივე წრეში დამარცხდა.

19 წლის სუპერვარსკვლავის ცოდვა ამჯერად მასზე უმცროსმა, 17 წლის ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა დაიდო. ჯანიან კიმს ტრიბუნიდან ბოიფრენდი, არნაკლებ ცნობილი ჩოგბურთელი ლეიტონ ჰიუიტი ქომაგობდა. კლაისტერსმა კურნიკოვასთან წინა წაგებული პირადი შეხვედრიდან სწორი დასკვნები გამოიტანა, მეტოქის შეცდომების ცდას აგრესიული თამაში არჩია და არც შემცდარა.

ბელგიელმა კურნიკოვას მძლავრი ფორჰენდების სეტყვა დააყარა, რომლებიც საოცრად წააგავდნენ მისი ნომერ პირველი გულშემატკივრის ანალოგიურ დარტყმებს. „არა, ეგ დარტყმა მის გაცნობამდე კარგა ხნით ადრე იყო ჩემს არსენალში. სინამდვილეში ვფიქრობ, — მე კი არა, პირიქით, მან გადაიღო ჩემგან“ — პლაგიატობა იქით დასწამა ჰიუიტს კლაისტერსმა.

ასე თუ ისე, რუსმა მეტოქის ძალას ვერაფერი დაუპირისპირა, ზუსტი დარტყმების ნაცვლად მატჩის ბოლოს ბენ-ჭლების შლასა და რუსულად თავის ლანძღვას უბშირა და 4:6, 3:6 წააგო. „არა მგონია, ის საუკეთესო ფორმაში იყოს“ — შეიცოდა კურნიკოვა კლაისტერსმა. „ერთობ ხშირად ვცდებოდი“ — ჩვეულებისამებრ იმართლა თავი რუსმა.

კორტზე მორიგი წარუმატებლობის მიუხედავად, კურნიკოვას სხვისი თანაგრძნობა ნაკლებად სჭირდება. ორიოდ კვირის წინ ბიუსტჰალტერების რეკლამით მოხვეჭილი ფულით რუსმა მაიამიში ხუთ მილიონ დოლარად შეფასებული სახლი-სასახლე შეიძინა.

კარგ ცნობად გამოდგება ანასთვის ისიც, რომ მასთან ხელმეორედ შეწყვილების სურვილი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა გამოთქვა. შარშანდელი სეზონის ბოლოს შვეიცარიელის დედის, მელანი მოლიტორის მოთხოვნით დაშლილმა დუეტმა (ანა შვილს მიფუჭებსო) აღდგენა მანონ ბოლგრაფისა და ნიკოლ არენდტის 6:3, 6:2 დამარცხებით აღნიშნა.

„პირველი მატჩისთვის ურიგო არ ყოფილა — ეს ჰინგისის კომენტარია — ადრე შესანიშნავად ვეწყობოდით ერთმანეთს, ამიტომ არანაირი შიში არ გვქონია, მთავარია, ურთიერთგაგება აღდგეს. ზოგჯერ უკეთესიცაა, როდესაც მცირე ხნით მეწყვილეები შორდებიან“.

პირველი წრე: ამანდა კუტცერი (5, აშშ) — მრეთ აფრიკა) — სილვია ტალაია (ბორვატია) 6:4, 6:0; ჩანდა რუბინი (7, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:0, 6:7 (11:13), 6:2; დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) — ენ კრიმერი (ლუქსემბურგი) 7:5, 7:6 (7:4); მაგდალენა მალეეევა (ბულგარეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:4, 5:7, 7:5; ქარა ბლეკი (ზიმბაბვე) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 7:5, 6:1; პატი შნიდერი (შვეიცარია) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:4; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 7:5.

ავთანდილ სვანიძე

ახლა ბლუზის დროა?

დასავლეთ კონფერენცია

ჩემპიონატის პირველი დღის ერთადერთმა მატჩმა, რომელშიც დალასი და კოლორადო შეხვდნენ ერთმანეთს, საფუძველი ჩაუყარა დასავლური გრანდების პრინციპულ დაპირისპირებას. თუმცა ერთმანეთთან ურთიერთობის რკვევა მათ სულაც არ შეუშლით ხელს, გაერთიანებული ძალით შეებრძოლონ აღმოსავლელებს და კვლავ სცადონ თასისა და ჰეგემონიის დაბრუნება.

ბრწყინვალე ოთხეული

ფაქტს, რომ დასავლეთის უძლიერესი გუნდების სამეული ოთხეულად იქცა, დღესდღეობით ყველა აღიარებს. ეგულისხმობთ დალასს, კოლორადოს, დეტროიტსა და ელიტაში შეჭრილ სენტ ლუისს. ამ დავაში სწორედ „ბლუზმენებს“ უწინასწარმეტყველებენ უპირატესობას სპეციალისტები და აი, რატომ.

ბოლო წლებში გზა ჩემპიონობამდე ასეთია: თავიდან კლუბი რეგულარულ ჩემპიონატში პირველობს, რასაც ერთი ან ორი სეზონის განმავლობაში პლეი ოფში ერთობ მოულოდნელი, გამოუცდელობით გამოწვეული იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე. მხოლოდ ამის შემდეგ, თუ გუნდმა სწორი დასკვნები გააკეთა, მოდის წარმატება. ასე იარეს პლეი ოფის მწვერვალამდე დეტროიტმა, დალასმა და შარშანდელმა ჩემპიონმა ნიუ ჯერსიმაც ოღონდ ზოგმა უფრო ადრე აღმართა თასი, ზოგმაც შედარებით გვიან. ახლა კი სწორედ სენტ ლუისი მომწიფდა ჩემპიონობისთვის. კონფერენციის შარშანდელი პირველადგილსანი უეჭველად შეეცდება, წინამორბედებს მიბაძოს და წარმატება სამომავლოდ აღარ გადადოს. გარდა ამისა, დასავლელი კონკურენტებისგან განსხვავებით, „ბლუზმენები“ სოლიდურად გაძლიერდნენ.

დანარჩენმა სამმა ფავორიტმა შემადგენლობა ოდნავაც არ გადაახალისა. თვით დეტროიტმაც კი, რომლის მესვეურებიც აგერ უკვე მეორე სეზონია, ცვლილებებზე ლაპარაკობენ, სკოტი ბოუმენი დაიტოვა და მის ხელში გაზრდილ-დაოსტატებული მობერებული ვარსკვლავებიც. კოლორადომ კი ბევრი დაკარგა და ნაკლები მიიღო. ახალწვეულ ნოლან პრატს სხვადასხვა გუნდში გადასული სანდის ოზოლინშის, დეივ ანდრეიჩუკისა და მარკ დენის სრულფასოვან შემცვლელად, ცხადია, არავინ მიიჩნევს. თუმცა „ეველანშს“ ისედაც საკმაოდ ჰყავს ვარსკვლავები და რაც მთავარია, საუცხოო ფორმაშია პეტერ ფორსბერგი, რომელმაც ტრავმის გამო შარშანდელი სეზონის ნახევარი გამოტოვა.

REUTERS

დალასელთა მეკარე ედ ბელფორმა კოლორადოელთა სახიფათო იერიშს მოიგერიებ

დალასის დანაკარგი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან პენსიაზე გასული გი კარბონო და ბრაიან სკრუდლენდი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალა იყო. აშკარაა, წლეულს გუნდის ლიდერებს — მოდანოს, ჰალსა და ჰეჩერს ახალგაზრდების სერიოზული დახმარება დასჭირდებათ.

ჩვენ რა დავაშავეთ

ცხადია, არც კონფერენციის დანარჩენი გუნდები შეეპუებიან წამყვან ოთხეულს. მათგან ყველაზე მეტს სან ხოსესგან ელიან. ბოლო სეზონში „ზვიგენებმა“ პროგრესი განიცადეს, რაც იმედისმომცემი ახალგაზრდებისა და გამოწრთობილი ვეტერანების ურთიერთშერწყმამ განაპირობა. თუ რაიმეა გუნდში საგანგაშო, მხოლოდ მეკარეთა რგოლი, თუმცა სტივ შილდსმა შარშან დაამტკიცა, რომ თანდათან ყალიბდება სტაბილურ პირველ ნომრად.

ჩვენ უსამართლოდ არ გვიხსენებია წყნარი ოკეანის დივიზიონში მოასპარეზე კიდევ სამი გუნდი, რომელთაც ძალუძთ, ფავორიტებს სვე გაუმწარონ. თუმცა ის, რომ ლოს ანჯელესმა ენდი მიურეის თავკაცობით წარმატებული სეზონი ჩაატარა, ჯერ არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, „მეფეებს“ განუდგა მათი სულისჩამდგმელი, საკონტრაქტო პირობებით უკმაყოფილო რობ ბლეიკი. ამგვარი საწუხარი აქვს ფინიქსსაც, რომელსაც აგერ უკვე მეორე სეზონია, მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინთან საერთო ენა ვერ გამოუნახავს. რაც შეეხება ანაჰაიმს, ის ისევ პოლ კარიასა და ტედუ სელიანეს იმედზეა, ხოლო ორ, თუნდაც უმაღლესი კლასის ფორვარდთან გამკლავება რომ შესაძლებელია, დეტროიტმაც დაამტკიცა 1999 წლის პლეი ოფში. მას შემდეგ ანაჰაიმში არაფერი შეცვლილა, ახლა კი ყველაფერს სტივ რუჩინის ტრავმაც დაემატა.

დიდი ცვლილებებია ედმონტონში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში პირველად ხდება, რომ გუნდი სეზონს გენერალური მენეჯერის, გლენ საზერის გარეშე იწყებს. მისი პოსტი ყოფილმა მწვრთნელმა, კევინ ლოუმ დაიკავა, ხოლო თავად ლოუს ადგილზე ცნობილი ჰოკეისტი კრეგ მაკტავიში მივიდა, რომელიც უეჭველად შემორჩება ისტორიას, როგორც უჩაფხუტოდ მოთამაშე უკანასკნელი ჰოკეისტი. მის ხელში მუდამ პერსპექტიული ედმონტონი ალბათ ანგარიშგასაწევ, რეალურ ძალად იქცევა.

თავიანთი გეგმები აქვთ კალგარისა და ჩიკაგოსაც. მათ ხელმძღვანელობაშიც განხორციელდა საფუძვლიანი ცვლილებები. თუმცა ძნელია, ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ ამ გუნდებისგან რაიმე სერიოზულს ელოდო. ასეა თუ ისე, საინტერესო იქნება სახეცვლილი ჩიკაგოს ხილვა. ჩრდილო-ამერიკული სტილის მიმდევარი „ქორები“, რომლებსაც ფინელი სპეციალისტი ალჰო სუჰონენი მიუძღვის, მთლიანად გარდაიქმნენ და წლეულს ევროპულ გუნდად მოგვევლინებიან.

ვანკუვერში კი ყურადსაღები ტყუპ სედინების დებიუტია. კარგა ხანია, ამდენი არც ერთ ახალწვეულზე არ ულაპარაკიათ. ამის საფუძველს ძმების წარმატებები იძლევა. ხუმრობა ხომ არ არის, 19 წლის დანიელი და ჰენრიკი შვედეთის საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატის სიმბოლურ ექვსეულში მოხვდნენ; თანაც, ერთად ყოფნა უფრო გაუადვილებთ თამაშს, მით უმეტეს, რომ პარტნიორად თვისტომი, გუნდის ახალი კაპიტანი მარკუს ნესლუნდი ეყოლებათ. სედინებმა უკვე მოახერხეს თავის გამოჩენა შვედეთში, სადაც ვანკუვერმა საჩვენებელი მატჩები გამართა.

აწმყო თუ არა გვწყალობს...

კონფერენციის დანარჩენი სამი გუნდისგან თვით მათი ქომაგებიც კი არ ელიან სასწაულს. ნეშვილი ჯერ ისევ ახალი გუნდია, მიუხედავად იმისა, რომ მისი თავკაცის, ბარი ტროცის გონივრული მუშაობა საყოველთაო პატივისცემას იწვევს. გარდა ამისა, „ძმაცვლებს“ აშკარად ესაჭიროებათ ერთიორი მაღალი კლასის ფორვარდი.

ბუნებრივია, წლევანდელი სეზონის დებიუტანტებს — მინესოტას და კოლუმბუსს კიდევ უფრო ნაკლები მოეთხოვებათ. გასაგები მიზეზების გამო ორივეს აკლია დახელოვნებული მოთამაშეები, ამიტომ მათ თავდადება და მწვრთნელების — ჟაკ ლემერისა და დეივ კინგის გამოცდილება თუ უშველით.

სამველ ღარიბიანი

მსაჯები დიქტატურით იწყებენ

3 ოქტომბერი

დალასი — კოლორადო 2:2

2:0 0:2 0:0 0:0

1:0 ზუბოვი 12'40 (1); 2:0 მოდანო 20'00 (1); 2:1 პოდინი 22'00 (1); 2:2 დედმარში 38'31 (1)

სტარტიც ასეთი უნდა. თუმცა სხვაგვარად როგორ იქნებოდა, სეზონი ხომ ორი პრინციპული მეტოქის დაპირისპირებამ გახსნა. თამაში უაღრესად დაძაბული და ცოცხალი გამოდგა. შარშანდელ პლეი ოფში დამარცხებულ კოლორადოს, ცხადია, ძალზე სურდა რევანშის აღება, მით უმეტეს, რომ საჩვენებელ მატჩებში ორჯერ სძლია დალასს, მაგრამ ერთგვარი ჰეთ-თრიქი სტუმრებს არ გამოუვიდათ. მეტიც, მათ დიდი ჯაფა დაადგათ ორშაიბიანი ჩამორჩენის გასაბათილებლად. არადა, „ეველანში“ თავიდანვე არაფერში ჩამოუვარდებოდა მეტოქეს და არანაკლებ სახიფათოდ უტევდა, ის კი დაავიწყდა, რომ დალასი მოწინააღმდეგის მინიმალური შეცდომებისგან მაქსიმალურ სარგებელს იღებს. პირველ პერიოდში მასპინძლებს, ფაქტობრივად, სამი მიმენტი ჰქონდათ, აქედან ორი გოლად აქციეს, ერთხელაც სტუმრები ძელმა იხსნა. კოლორადოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მოვლენების ასეთმა განვითარებამ არ დაანინა, მეორე მესამედში სრული უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ ანგარიშიც გაათანაბრეს. ამის შემდეგ, მიუხედავად მეტოქეთა მცდელობისა (კოლორადო უფრო ახლოს იყო მიზანთან), აღარაფერი შეცვლილა, ამიტომ, მთავარი ყურადღება მეტად პრინციპულმა და მკაცრმა მსაჯობამ მიიპყრო. არბიტრები მცირე შეცდომებისთვისაც კი არ ინდობდნენ მოთამაშეებს, რის გამოც გუნდებს ხშირად არასრული შემადგენლობით უწევდათ ყინულზე ყოფნა, თითოჯერ კი ორკაციან უმცირესობაშიც აღმოჩნდნენ. ვერ შეედავები ნჰლ-ის მსაჯთა კოლეგიას — უხეშობა არც ჰოკეიში ვარგა.

ᲐᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ. ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲕᲣᲓᲡᲗᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲩᲮᲣᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲡᲐᲕᲔ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲯᲝᲜ ᲒᲐᲘᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲓᲦᲔᲡ: ᲒᲘᲝ VS ᲒᲐᲘ

ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲗᲔᲗᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲔᲡ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

27 ᲗᲔᲗᲠᲘᲡ თეთრკანიან გაის პროფესიულ რინგზე გამართული 30 ბრძოლიდან მხოლოდ 3 წაუგია (ბოლოს 4 თვის წინ). თავისი ავლადიდება — მსოფლიოს კრივის ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონის ჭრელაჭრელა ქამარი ამაყად გამოეფინა ჩვენს თვალწინ და გიორგისაც გაუგორა კოჭი — თუ მომიგებ, რეიტინგში საგრძნობლად იხეირებო. სპარინგებისას ერთხელ ვუდსსაც შეყრია, ოღონდ შედეგი არ ახსოვს, გიორგის ორი ბრძოლა ვიდეოკასეტაზე უნახავს, თავისი მეტოქეებიდან კი ქებით დანიის ჩვენთვის უცნობი ჩემპიონი და ვინმე ბაკლო მოიხსენია, ვისაც ის ქამარი წაართვა, აქ რომ ჩამოიტანა.

ამერიკელს თავიდან ისე დაება ენა, დავეჭვდით, ინგლისური თუ იცისო. სხვა მხრივ კანდელაკზე ნაკლებია სიმაღლით, წონით, მხარბეჭითა თუ კუნთებით. ეს შესახედავად, რინგზე კი რისი მაქნისია, ამაში ამ საღამოს დარწმუნდებით, თუ სპორტის სასახლეში მიბრძანდებით. ბილეთები ადრინდელთან შედარებით გაცილებით იაფია — 5 და 10 ლარი.

კანდელაკის სიმამრსა და საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ვახტანგ ყანჩაველს მეტოქის შეცვლა ამერიკელთა ხრიკად მიაჩნია. მისი თქმით, ოკეანისგაღმელები მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონობის დაკარგვამ შეაფიქრიანა და ახლა ყველა კანდიდატის ადრევე ჩამოცილებას ცდილობენ. ჩვენებურებს 3 ოქტომბერს მიუღიათ ფაქი, რომ ვუდსს 2-ში სპარინგებისას თითი უტკენია. არადა, ჩხუბამდე 4 დღით ადრე სპარინგები დაუშვებელია. ეს შეგნებულად გააკეთეს, მეტოქეზე დაკვირვების საშუალება რომ არ გვქონოდა. მე ჩემი გულისნადები მინდა გითხრათო, ხვაშიადი გაგვიმხილა ყანჩაველმა.

თვითონ კანდელაკი ვარიანში ემზადებოდა და როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, კარგადაც. ერთადერთ ნაკლად იმას მიიჩნევენ, რომ ხეირიანი სპარინგები არ ჰქონია. მას ხომ საქართველოში შესაფერი მეტოქე არ ჰყავსო.

კანდელაკისა და გაის ჩხუბს ფრანგი ჟან ლუი რეგლანი განსჯის. 17 საათიდან სარეიტინგო ბრძოლებს ჩაატარებენ გოჩა რუსია, ილია ტლაშაძე, რამაზ ბებნაძე და პაატა ვარდუაშვილი, აგრეთვე „რინგსის“ წესებით მებრძოლები — ბაკურ გოგიტიძე, ამირან ბიწაძე და გეგა გეგეშიძე.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲫᲔ

ᲠᲐᲛ ᲒᲐᲧᲝ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲘ

ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲧᲕᲔᲡ



ᲘᲣᲓᲘᲗ ᲞᲝᲚᲒᲐᲠᲘ, ანატოლი კარპოვი, ნაიჯელ შორტი, თითო მოლდოველი და შვეიცარიელი, ორი ბრაზილიელი და სამი არგენტინელი თამაშობდნენ ბუენოს აირესში ცნობილი არგენტინელი დიდოსტატის, მიგელ ნაიდორფის მემორიალზე. მეოთხე ტურნირის შემდეგ კარპოვის სასტარტო აღმაფრენა მალე ჩაცხრა (მას სამიდან სამი მოგება ჰქონდა) და მსოფლიოს ერთერთმა ჩემპიონმა შემდეგ ყაიმებით სვლა განაგრძო. იგი მეხუთე ტურში პოლგარს თეთრებით ეთამაშა, მაგრამ კინაღამ წააგო. უნგრელმა, რომელიც მშვენიერ ფორმაშია და წინა ტურში შორტს ანდერძი აუგო, თავისი აგრესიული თამაშით ჩემპიონის დაჩოქებაც სცადა და ტაქტიკური წიაღსვლების შემდეგ ეტლნაკლულმა პაიკთა მრისხანე შეტევა დაატეხა თავს, რაც დიაგრამაზე ჩანს.

წაგების საფრთხემ კარპოვს დროულად გაახსენა, რომ რასაცა გასცემ, შენია; მან მეტოქეს მატერიალური ნამატი გონივრულად დაუბრუნა და შვებით ამოისუნთქა. მე-40 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ტურნირზე შემდგომ პოლგარი გაბატონდა. მე-7 ტურში მანდილოსანმა ჟილბერტო მილოშს მოუგო. მსოფლიოს თასის ამასწინანდელმა ბრაზილიელმა ნახევარფინალისტმა სასტარტო კრიზისი ვითომ დასძლია, მაგრამ პოლგართან აურია და საერთოდ, მართალია, ტურნირი ბოლოსწინამ დაასრულა და ვერც ზონალურ ტურნირში დააგოვა საჭირო ქულები, ფიდემ ეს პატივსაცემი მოჭადრაკე თავის ინდურ პირველობაზე მაინც მიიწვია — ნაიდორფის მემორიალი უფრო მილოშის დროებითი ჩავარდნა იყო.

ამასობაში ყველასთვის მოულოდნელად მემორიალზე ახალი გმირი გამოჩნდა. 2641 რეიტინგული ქულის პატრონმა, მოლდოველმა დიდოსტატმა ვიქტორ ბოლოგანმა აღმასვლა იწყო, ბოლო ტურის წინ პოლგართან სულაც პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა და იმავე პოლგარის წინააღმდეგ გააწყო ფიგურები. პარტია თეორიულ გზას გაჰყვა და ჩქარი ყაიმით დასრულდა, რამაც არგენტინელ რიკარდისთან შავებით მოთამაშე კარპოვს შანსი მისცა, ლიდერებს დასწეოდა. ბებერი ჩემპიონი მხნედ უტევდა არგენტინელის თავდაცვით ზღუდეებს, მაგრამ პარტიამ ზედმეტად გაიტაცა და საათისკენ გახედვა დაავიწყდა. რიკარდის ჯერაც წუთი და 7 წამი დარჩენოდა ბოლო საკონტროლო სვლის მოსაფიქრებლად, როცა მსაჯმა, დრო ამოგეწურაო, განუცხადა კარპოვს. აღელდა კარპოვი, სკამიდან წამოხტა და მცირე ხანს ბრაზიანი ბოლთა სცა, მაგრამ შემდეგ მეტოქეს ხელი გაუწოდა. 10 ათასი დოლარი პოლგარმა და ბოლოგანმა გაიყვეს, კარპოვს კი მესამე ადგილიც აღარ ერგო, შორტმა წაართვა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

1-2. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა) — 6,5; 3. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 6; 4. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — 5,5; 5. პაბლო რიკარდი (არგენტინა) — 4,5; 6-7. ვადიმ მილოვი (შვეიცარია), რაფაელ ლეიტაო (ბრაზილია) — 4; 8. ფაკუნდო პიერო (არგენტინა) — 3,5; 9. ჟილბერტო მილოში (ბრაზილია) — 3; 10. დიეგო ფლორესი (არგენტინა) 1,5.

ᲘᲣᲓᲘᲗ ᲞᲝᲚᲒᲐᲠᲘ

ᲝᲖᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲕᲠᲝᲞᲝᲓ ᲚᲐᲠᲙᲰᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲔᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐᲗ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია ტურნეს ჩასატარებლად ევროპას რომ უნდა ესტუმროს, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ და ნაკრების სავარაუდო შემადგენლობაც გაგაცანით. ახლახან კი გაირკვა, რომ ოზები ძირითადის ორივე ნახევარმცველს მოისაკლისებენ.

შერკინების ნახევარმცველ ჯორჯ გრეგანს მხრისა და კისრის არეში ძარღვები ჰქონია დაზიანებული. იგი 26 აგვისტოს სამხრეთ აფრიკაში, სამი ერის პირველობის ბოლო მატჩში დაშავდა. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა და მთლიანად ტურნირი ავსტრალიელთა გამარჯვებით დასრულდა. თავიდან თითქოს საგანგაშო არაფერი იყო და გრეგანიც ნაკრებს ევროპულ ტურნეში უნდა ხლებოდა, მაგრამ მერე ექიმებმა ჩათვალეს, რომ გართულებების თავიდან ასაცილებლად მას ოთხი თვით უნდა დაესვენა.

ტურნესწინა სამედიცინო შემოწმებისას კი „ვოლაბებმა“ მეორე გარე ნახევარმცველიც დაკარგეს. სტივენ ლარკჰემსაც აუკრძალეს ექიმებმა ევროპაში წასვლა. მას უკვე კარგა ხანია, მუხლები აწუხებს, მაგრამ მაინც თამაშობდა. წესით, ტრავმა უნდა მოშუშებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ლარკჰემსაც გაძლიერებული სამკურნალო კურსის ჩატარება მოუწევს.

ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი როდ მაკქუინი ძალიან შეწუხებულია ორივე დანაკარგით, მაგრამ მისთვის შეგირდების ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტურნეს შედეგი. „გრეგანი და ლარკჰემი ძალიან დაგვაკლდებიან, მაგრამ ჩვენ მათ მომავალზე უნდა ვიზრუნოთ და ერთი ტურნეს გამო კარიერა არ დავუღუპოთ“ — უთხრა ჟურნალისტებს მაკქუინმა.

რაც შეეხება შემცვლელებს, გრეგანის მაგივრად კრის ვიტაკერი გამოიძახა „ვოლაბთა“ თავკაცმა, ლარკჰემი კი ნეითან გრეით შეცვალა.

ᲡᲢᲘᲕᲔᲜ ᲚᲐᲠᲙᲰᲔᲛᲘ

ᲒᲐᲘᲝᲯ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ

ᲛᲐᲠᲢᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „როიტერმა“ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ყურადღება იმ სპორტსმენებზე შეაჩერა, რომლებიც ოლიმპიადის დასრულების შემდეგ სიდნეიში დარჩნენ.

ოთხი ქართველის გარდა კიდევ ერთი ტუნისელი ძალოსანი გაუჩინარებულა სიდნეიში, ზუსტად თვითმფრინავში ასვლის წამს. ტუნისელს გაუვლია საბაჟო და საემიგრაციო შემოწმება, მისი ბარგიც ადგილზე ყოფილა, ის კი — აღარ. გაბონელი მოკრივე აეროპორტიდან გაქცევისას უნახავთ. რა ელით მათ? როგორც ავსტრალიის საემიგრაციო სამსახური აცხადებს, ჯერ არაფერი, რადგან ვიზები აქვთ, რომელშიც მწვანე კონტინენტზე ყოფნის ბოლო დღედ 1 ნოემბერი უწერიათ. „ჯერჯერობით არაფერი გვესაქმება — ამბობს საემიგრაციო სამსახურის პრესცენტრი — 1 ნოემბრის შემდეგ კი საჭირო უფლებამოსილებებს გამოვიყენებთ“.

ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ

ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის სენაკის ფილიალის (ხელმძღვანელი გოდერძი ბარქაია) თაოსნობით პირველად გაიმართა ღია ტურნირი კიოკუშინკაი კარატეში. საქართველოს არაერთი ქალაქიდან ეწვივნენ სენაკს ქართველი სპორტსმენები, ხოლო მომავალში ტურნირი ტრადიციულად იქცევა და მასში უცხოელი კარატისტებიც გამოვლენ. მონაწილენი 6 ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ: 8-9, 10-11, 12-13, 14-15, 16 წლიანთა და მამაკაცთა. მოზარდთა ჯგუფებში დათო ცარციძემ, ტარასი ფაცაციამ, ლევან გამახარიამ, ალეკო ხარშილაძემ და ბადრი ჩალაძემ გაიმარჯვეს, ხოლო მოზრდილებში ტოლი არ ჰყავდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, აფხაზეთიდან დევნილ გელა კუჭავას, რომელმაც ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚ-ᲨᲘ

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

REUTERS კოლიმბიიდან

REUTERS ლონდონიდან

დაბრუნება

გუშინ, გამთენიისას ქართველი ოლიმპიელები ჩამოვიდნენ, დაახლოებით იმავე დროს, ცოტა ადრე ან გვიან, მსოფლიოს 198 ქვეყნის აეროპორტებშიც შეინიშნებოდა ოლიმპიელთა მოძრაობა, რომლებიც მერე თავიანთი სახელმწიფოების უმაღლეს ჩინებთან აუდიენციაზე მიდიოდნენ და მათთან ერთად ხალხს ვინ გმირად ენახვებოდა (უფრო ასეთები ჩანდნენ), ვინაც ისე რა...

ჰოლანდიაში ოლიმპიური რჩეულნი სამეფო კარმა მიიღო. ფოტოზე ტიტების ქვეყნის დედოფალი ბეატრისი (მარცხნიდან მეორე) და კრონპრინცი ვილემ ალექსანდერი (მარჯვნიდან მეორე) ჩანან. კრონპრინცის მარჯვნივ პიტერ ვან ჰუგენანდია, დედოფალს მხარს ინგე დე ბრუინი უმშვენებს და სხვანიც ისეთნი არიან, ნარინჯისფერი ღირსება სიდნეიში სანაქებოდ რომ ატარეს. მეორე ფოტო-შვიდეული ლონდონიდან მოვიდა. სულ ოლიმპიური მედალოსნები ჩაწიკწიკებულან „ჰითროუს" აეროპორტის ჰოლში და ალბიონელთა მონაგარი 28 მედალს წარმოადგენენ. მეზობლად, პარიზში, მიჯნურს (იგივე გელფრენდს) ეხუტება მოკრივე და სიდნეის ბრინჯაოს მედალოსანი ჟერომ თომასი, საერთოდ კი ფრანგებმა ჩრდილოელ მეზობელს 10 მედლით აჯობეს. მაგარი ამბებია ჩინეთში, თვით ქვეყნის პირველი პირი აქტიურად ჩართულა სახელოვან ჩინელ ოლიმპიელთა (გუნდური მესამე ადგილი, 59 მედალი) გმირებად ცნობის საქმეში, სათითაოდ ყველას ხელს ართმევს. მხიარულებაა მექსიკაშიც, რომლის ოლიმპიური ნაკრების საჩინო წევრები ფოტოზე ჩანან, ხოლო შრი ლანკაზე ერთადერთი გმირია — სუსანტიკა ჯეისინგჰი, რომელმაც ომით გათანგულ თავის ქვეყანას 52 წლის მანძილზე პირველი ოლიმპიური მედალი შესძინა. ოლიმპიზმის ისტორიისთვის ეს ბრინჯაო იქნებ ზღვაში წვეთი იყოს, მაგრამ აქ შრი ლანკას ისტორიაზეა ლაპარაკი.

REUTERS ბუენოსაიერესიდან

REUTERS ბარსელონიდან

REUTERS ბუენოსაიერესიდან



REUTERS ბაგდადიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჯუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge